ctc
Empowering People for Change

ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი

საკვანძო კომპეტენციები
მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის

ევროპული ჩარჩო
ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები

თბილისი 2006

გამოცემულია ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის (CTC) მიერ

ინგლისურიდან თარგმნეს თეა გულუამ და შორენა ჭოხონელიძემ
რედაქტორი: თეა გულუა

მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. 34, 0177 თბილისი
ტელ.: +995 32 42 00 70; 42 00 71
ფაქსი: +995 32 42 00 60
ელ-ფოსტა: ctc@ctc.org.ge
www.ctc.org.ge

© 2006 CTC, თბილისი

შინაარსი:

I ნაწილი

ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაციები - საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის

მემორანდუმი

1. კონტექსტი
1.1. რეკომენდაციების შემუშავების მიზეზები და მიზნები
1.2. რა კომპეტენციები მოითხოვება ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში?
1.3. საკვანძო კომპეტენციების თანამედროვე გაგება
1.4. ევროკავშირის სხვა პოლიტიკურ კურსებთან და ამოცანებთან კავშირი

2. დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციები და გავლენის შეფასება
2.1. ექსპერტიზის შეგროვება და გამოყენება
2.2. გავლენის შეფასება

3. რეკომენდაციების იურიდიული ელემენტები
3.1. შეთავაზებულ ქმედებათა რეზიუმე
3.2. იურიდიული საფუძველი
3.3. სუბსიდიარობის და პროპორციულობის პრინციპები

ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაციები

საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის - ევროპული ჩარჩო

II ნაწილი

სამუშაო პროგრამის 'განათლება და წვრთნა 2010' განხორციელებისას სამუშაო ჯგუფის (B) „საკვანძო კომპეტენციები" მიერ შემუშავებული ევროპული ჩარჩო - საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის (2004 წლის ნოემბერი)

1. წინაპირობა

2. ჩარჩოს სტატუსი და განმარტება
2.1. „საბაზისო უნარ-ჩვევებიდან" „საკვანძო კომპეტენციებამდე" – სამუშაოს კონტექსტი
2.2. საკვანძო კომპეტენციებისთვის ჩარჩოს განმსაზღვრელი პრინციპები
2.3 სხვა შენიშვნები

3. საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის – ევროპული ჩარჩო
3.1.საკვანძო კომპეტენცია
3.2.საკვანძო კომპეტენციების რვა დომენი
ცხრილი 1. საკვანძო კომპეტენციების მიმოხილვა
ცხრილი 2. საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო. საკვანძო კომპეტენციის დომენების განმარტება და ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების აღწერა თითოეულ დომენთან მიმართებაში

I ნაწილი

ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები

საკვანძო კომპეტენციები
მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის

<u>მემორანდუმი</u>

1. კონტექსტი

1.1. რეკომენდაციების შემუშავების მიზეზები და მიზნები

2000 წლის მარტში, ლისაბონში შეკრებილმა ევროპულმა საბჭომ აღიარა, რომ ევროპა დგას გლობალიზაციის გამოწვევისა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ზრდის წინაშე. ხაზი გაესვა იმას, რომ 'ყოველი მოქალაქე აღჭურვილი უნდა იყოს იმ უნარებით, რომლებიც აუცილებელია ამ ახალ ინფორმაციულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის და მუშაობისათვის' და, რომ 'ევროპულმა ჩარჩომ უნდა განსაზღვროს ***მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის*** საჭირო ახალი საბაზისო უნარ-ჩვევები[1]: საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, უცხო ენები, ტექნოლოგიური კულტურა, მეწარმეობა და სოციალური უნარ-ჩვევები'. იმის აღიარება, რომ სწორედ ადამიანია ევროპის შემდგომი ზრდისა და დასაქმების ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობა, გაცხადებულ იქნა 2000 წელს, რაც არაერთხელ გაჟღერდა შემდგომ, უკანასკნელ ხანს კი ლისაბონის სტრატეგიაში და 2005 წლის ევროპულ საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ მოწოდებაში განათლების სფეროს და უნარ-ჩვევების განვითარებისათვის ინვესტირების გაზრდისაკენ.

ეს ამოცანა კვლავ გამეორდა და ჩამოყალიბდა 2002 წლის ბარსელონის საბჭოს მიერ მიღებულ სამუშაო პროგრამაში '**განათლება და წვრთნა 2010'** (ET2010), რომელშიც გაჟღერდა შემდგომი მოქმედებისაკენ მოწოდება 'საბაზისო უნარ-ჩვევების ოსტატობის გასაუმჯობესებლად' და განათლებაში ევროპული განზომილების (European Dimension) გასაძლიერებლად. ამ სამუშაოს ჩატარება აუცილებელი გახდა საიმისოდ, რომ ყურადღება გამახვილებულიყო საბაზისო უნარ-ჩვევების იდენტიფიცირებაზე და იმაზე, თუ როგორ აჯობებდა მათი ტრადიციულ უნარ-ჩვევებთან ერთად სასწავლო პროგრამებში ინტეგრირება, შემდგომ სწავლა და მთელი სიცოცხლის მანძილზე შენაჩუნება. თავიდანვე იგულისხმება, რომ საბაზისო უნარ-ჩვევები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანისათვის, იმათი ჩათვლით, ვისაც თავისი ფიზიკური მდგომარეობების გამო განსაკუთრებული მოთხოვნილებები აქვს, ასევე არასრული საშუალო განათლების მქონე პირებისათვის და ზრდასრულებისათვის. საბაზისო უნარ-ჩვევების მიღების კანონიერი ძალის აღიარებამ ხელი უნდა შეუწყოს დამატებითი განათლების მიღების სურვილსა და დასაქმებას. ევროკომისიის კომუნიკემ ***მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესახებ (2001)*** და ევროპული საბჭოს შემდგომმა რეზოლუციამ (ივნისი, 2002) ხაზი გაუსვეს ყველასათვის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლოების შეთავაზების საჭიროებას, განსაკუთრებით კი, საბაზისო უნარ-ჩვევების შეძენისა და მათი გაუმჯობესებისათვის.

ამ პოლიტიკურ მანდატზე დაყრდნობით *განათლებისა და წვრთნის 2010* სამუშაო პროგრამის კონტექსტში 2001 წელს შექმნილმა საბაზისო უნარ-ჩვევების სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ცოდნაზე დაფუძნეული საზოგადოებისათვის აუცილებელი საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო[2] და მოამზადა რეკომენდაციების პაკეტი, რომლებშიც გარანტირებულია ყველა მოქალაქისათვის მათი მიღების შესაძლებლობა[3].
ევროპული საბჭოსა და ევროკომისიის სამუშაო პროგრამის [4] 'განათლება და წვრთნა 2010' მიმდინარეობის მიმდინარეობის შესახებ 2004 წლის შუალედურ ანგარიშში, რეფორმების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით და ნაციონალური პოლიტიკის მხარდასაჭერად, შევიდა საერთო ევროპული რეკომენდაციები და პრინციპები, ასევე პრიორიტეტი მიენიჭა საკვანძო კომპეტენციების ჩარჩოს.

წინამდებარე რეკომენდაციები საკვანძო კომპეტენციების შესახებ წარმოადგენს ევროპულ საინფორმაციო პაკეტს და გვთავაზობს იდეებს, თუ როგორაა შესაძლებელი ამ კომპეტენციების მიღება თითოეული მოქალაქისათვის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

უფრო კონკრეტულად კი რეკომენდაციების მიზანია:

---

[1] 'საბაზისო უნარ–ჩვევები' ზოგადად შეეხება წერა-კითხვასა და ანგარიშს; ლისაბონის საბჭოს მოწოდებით კი მათ დაემატა ახალი უნარ–ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისათვის, კერძოდ კი: საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები და მეწარმეობა.

[2] სამუშაო ჯგუფმა ირჩია ტერმინი 'კომპეტენცია', რომელიც მოიცავს ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და დამოკიდებულებებს და 'საკვანძო კომპეტენციები', რათა განესაზღვრა ყველასათვის საჭირო კომპეტენციები. ის ასევე მოიცავს საბაზისო უნარ-ჩვევებს, თუმცაღა მოსდევს მათ.

[3] საბაზისო უნარ-ჩვევების სამუშაო ჯგუფი, 2003, 2004 წწ. მიმდინარე ანგარიშები http://europa.eu.int /comm/education/policies/2010/objectives_en.html#basic

[4] შუალედური ანგარიში, ევროპული საბჭოს 2004 წლის მარტის დოკუმენტი 6905/04

1) იმ საკვანძო კომპეტენციების იდენტიფიცირება და განსაზღვრა, რომლებიც საჭიროა პიროვნული სრულყოფის, სოციალური ურთიერთგათანაბრებისა და ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში დასაქმების მისაღწევად.
2) წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერა მათ საქმიანობაში იმის გარანტიით, რომ დაწყებითი განათლების მიღებისა და წვრთნის გავლის შემდგომ ახალგაზრდები იმ დონემდე განივითარებენ საკვანძო კომპეტენციებს, რომ აღჭურვილი იქნებიან ზრდასრული ცხოვრებისათვის და როგორც ზრდასრულები შესძლებენ განივითარონ და განაახლონ ისინი მთელი მომდევნო ცხოვრების მანძილზე.
3) ევროპული დონის სარეკომენდაციო პაკეტი: **საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის - ევროპული ჩარჩო რეკომენდაციები**[5] - შესთავაზოს პოლიტიკოსებს, განათლების პროვაიდერებს, დამსაქმებლებს და ასევე განათლების მაძიებლებს, რათა ნაციონალურ და ევროპულ დონეზე ხელი შეეწყოს ერთობლივად შეთანხმებული მიზნების მიღწევას.
4) თანამეგობრობის დონეზე შექმნას ჩარჩო-პირობები, როგორც სამუშაო პროგრამისათვის - განათლება და წვრთნა 2010, ასევე თანამეგობრობის განათლებისა და წვრთნის პროგრამებისათვის.

1.2. რა კომპეტენციები მოითხოვება ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში?

საერთაშორისო დონეზე არსებული კვლევების თანახმად 'კომპეტენცია' აქ განისაზღვრება, როგორც ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების კომბინაცია, რომლებიც მიეკუთვნება შესაბამის სიტუაციას. 'საკვანძო კომპეტენციები' კი ის კომპეტენციებია, რომლებიც ხელს უწყობენ პიროვნულ სრულყოფას, სოციალურ ჩართულობას, აქტიურ მოქალაქეობას და დასაქმებას.

ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარება პიროვნულ, საზოგადოებრივ და პროფესიონალურ სფეროებში მოთხოვნებს უზრდის საკვანძო კომპეტენციებს. ინფორმაციის და მომსახურების მიღების გზები სულ მუდამ ცვლილებას განიცდის, ასევე ცვალებადია საზოგადოების სტრუქტურა და ე.წ. სახე. იზრდება ინტერესი სოციალური ურთიერთგათანაბრების და განვითარებადი დემოკრატიული მოქალაქეობის მიმართ; ყოველივე ეს ითხოვს ადამიანთა ინფორმირებულობას, დაინტერესებასა და აქტიურობას. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ ყველასათვის საჭირო ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები ასევე სულ მუდამ იცვლება.

ეკონომიკათა მზარდი ინტერნაციონალზაცია თავისი სისწრაფითა და სიხშირით, ახალი ტექნოლოგიებითა და კომპანიათა ორგანიზების ახალი მიდგომებით დიდ გავლენას ახდენს შრომის სამყაროზე. მუშახელს მოეთხოვება, როგორც სპეციფიური სამსახურებრივი უნარ-ჩვევების განახლება, ასევე იმ ძირეული კომპეტენციების მიღება, რომლებიც საშუალებას მისცემს მას მოერგოს ცვლილებებს. სამუშაო ძალის ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები ინოვაციების, პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორია, სწორედ ისინი უზრუნველყოფენ მოტივაციას, სამუშაოთი კმაყოფილებასა და მის ხარისხის.

მიუხედავად ამისა, 2004 წლის ნოემბერში ლისაბონის სტარატეგიაზე მომუშავე უმაღლესი დონის ჯგუფმა განაცხადა, რომ 'ევროპაში საკმარისზე ცოტა რამ გაკეთდა ამ კუთხით. ადამიანებს აკლიათ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ მოარგებდა მზარდ შრომის ბაზარს. ეს თანაბად შეეხება, როგორც მაღალი, ასევე დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ადგილებს'. ევროპის მუშახელის თითქმის მესამედი (80 მილიონი) დაბალი კვალიფიკაციისა. შემდგომ ამისა 2004 წლის Cedefop-ის მოხსენების პროგნოზით კი 2010 წლისათვის მხოლოდ 15% ახლადშექმნილი სამუშაო ადგილებისა იქნება ისეთი ადამიანებისათვის, რომლებსაც სკოლის საბაზისო განათლება აქვთ, მაშინ როდესაც 50% მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის მუშახელს.

საერთაშორისო კვლევები, როგორიცაა IALS (ზრდასრულთა წერა-კითხვის ცოდნის საერთაშორისო კვლევა — International Adult Literacy Survey), გვიჩვენებს, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში ზრდასრული დიდმა ნაწილმა არ იცის საზოგადოებაში ფუნქციონირებისათვის აუცილებელი წერა-კითხვა, განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან ის ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ სრული საშუალო განათლება. მიუხედავად იმისა, რომ წერა-კითხვის არმცოდნეთა რიცხვი ევროპაში შედარებით დაბალია, არც ერთი საზოგადოება არაა დაცული ამ ფენომენისაგან. უდიდეს პრობლემად რჩება ეროვნულ უმცირესობათა შორის წერა-კითხვის არცოდნა. 2003 წლის მაისის საბჭოს მიერ დადგინდა ევროპის სარეკომენდაციო დონე (ე.წ. 'ამოსავალი პუნქტები'), რომელის 2005 წლის მონაცემების მიხედვით 2000 წლიდან ადგილი არ ჰქონია პროგრესს 15 წლის ასაკში კითხვის არმცოდნეთა პროცენტული მაჩვენებლის კლებასთან მიმართებაში, ასევე არ გაზრდილა სკოლის ზედა კლასების დამამთავარებელთა რიცხვი. არც სხვა სარეკომენდაციო დონეების მიღწევაში შენიშნულა პროგრესი: ბოლო მონაცემებით ადრეულ ასაკში სკოლის არდასრულება შეადგენს 14%-ს, მაშინ, როცა 2010 წლისათვის სარეკომენდაციო დონედ 10% ივარაუდებოდა. ზრდასრულთა მონაწილეობა საგანმანათლებლო და ტრენინგ პროგრამებში წელიწადში მხოლოდ 0.1-0.2 პროცენტით იზრდება, რაც ნამდვილად ვერ მიგვაღწევინებს 2010 წლისათვის დასახულ

[5] თანდართული 'საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის — ევროპული ჩარჩო' წარმოადგენს საბაზისო უნარ-ჩვევების სამუშაო ჯგუფის მიერ საკვანძო კომპეტენციების შესახებ შექმნილ დოკუმენტს.
[6] განათლებისა და წვრთნის ლისაბონის ამოცანათა გადაწყვეტისაკენ; კომისიის წევრთა სამუშაო დოკუმენტი, 2005 წლის ანგარიში, გვ.20. http://europa.eu.int/comm/education/policies/2010/doc/progressreport05.pdf

12.5%-იან სარეკომენდაციო დონეს. უფრო მეტიც, მონაცემები გვიჩვენებენ, რომ დაბალი კვალიფიკაციის ადამიანები ნაკლებად ინტერესდებიან დამატებითი სწავლით, რაც ართულებს იმათ დახმარებას, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

1.3. საკვანძო კომპეტენციების თანამედროვე გაგება

ევროპული დონის თანამეგობრობის პროგრამები, როგორიცაა აქციები ლეონარდო და ვინჩი და გრუნდტვიგი სოკრატეს პროგრამის ფარგლებში მხარს უჭერენ პროექტებს, რომლებიც საბაზისო უნარ–ჩვევების შეძენის ხარვეზების დაძლევისკენაა მიმართული.
სამუშაო პროგრამის 'განათლება და წვრთნა 2010' მიღების შემდეგ მრავალმა სამუშაო ჯგუფმა მოახდინა თავისი სამუშაოს ფოკუსირება ისეთ სპეციფიურ სფეროზე, როგორიცაა საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები და სხვა უფრო ფართო თემებზე (მაგ.: სოციალური ჩართულობა და აქტიური მოქალაქეობა), რომლებიც ყველა არსებითი კომპეტენციის ერთ სტანდარტულ ჩარჩოში შეგროვებით საკვანძო კომპეტენციებზე მუშაობის კონტექსტმა მოითხოვა. ამ სამუშაომ მოითხოვა პრაქტიკის საუკეთესო მაგალითების შეგროვება და გავრცელება, ასევე სავალდებულო განათლებაში გადამკვეთი კომპეტენციების განვითარება, ნაკლები შანსის მქონე ადამიანთა და ზრდასრულთა მიერ საკვანძო კომპეტენციების მიღების ხელმისაწვდომობის გარანტიები.

საკვანძო კომპეტენციებზე მუშაობა მჭიდროდ უკავშირდება ევროპის განათლებისა და წვრთნის სისტემების განვითარებისაკენ მიმართულ სხვა პროცესებს, ისეთებს, მაგალითად, როგორიცაა ევროპულ კვალიფიკაციათა სტანდარტების განვითარება, ასევე ინიციატივებს მიმართულს კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების გამჭვირვალობისა და აღიარების გაძლიერებისაკენ (მათვე მიეკუთვნება არაფორმალური, ინფორმალური განათლება და კრედიტების ტრასფერის სისტემები). '*პედაგოგთა კომპეტენციებისა და კვალიფიკაციების საერთო ევროპულ პრინციპებზე*' მუშაობაც ამისკენაა მიმართული, რადგანაც ის უკავშირდება სკოლის ცვალებად როლს ახალგაზრდა თაობის კომპეტენციების განვითარების საქმეში.

წევრი სახელმწიფოები საგრძნობ აქტიურობას იჩენენ დაწყებითი განათლების კურიკულუმების რეფორმებისას, რაც აისახება სწავლით გადაცემადი კომპეტენციების განვითარებაზე ყურადღების გადატანაში, რომლებიც ახალგაზრდებს ამზადებენ ზრდასრული ცხოვრებისათვის და შემდგომი განათლებისათვის. ეს ითხოვს სწავლების ორგანიზების განსხვავებულ მიდგომებს და ასევე პედაგოგთა ახალ კომპეტენციებს. აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს დებატებს იმის შესახებ, თუ რომელი კომპეტენცია უნდა განივითაროს ყოველმა ახალგაზრდამ და როგორ აჯობებს სკოლების მიერ, მაგალითად, განვითარების მართვა და ევალუაცია. სწავლის სოციალურ ასპექტებს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება: განათლების ნაკლი ხშირად პიროვნული, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური გარემოებების კომბინაციაა და ითხოვს სხვა სექტორებთან ერთ კავშირში მოქცევას. სკოლები ეძიებენ გზებს, რათა ოჯახები და საზოგადოება არა მარტო სწავლისას ამოუდგნენ მხარში ახალგაზრდებს, არამედ ხელი შეუწყონ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის გავრცელებას.

მრავალ ქვეყანაში ხორციელდება საბაზისო უნარ-ჩვევების შეძენის პროგრამები, მაგ.: წერა-კითხვის, ანგარიშისა და კომპიუტერული კურსები ზრდასრულებისათვის, ხშირად ეს პროგრამები ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით. თუმცა, ბევრი ქვეყანა ჯერ კიდევ არაა იმ სიტუაციაში, რომ შესძლოს ყველა მოქალაქეს შესთავაზოს საბაზისო უნარ-ჩვევების მიღება და განახლება და იმ პირობებში, როდესაც უმრავლესობა აღიარებს ზრდასრულთა საჭიროებას - შეიძინოს მეტი და უფრო ფართო კომპეტენცია, არ არსებობს საერთო გაგება იმისა, თუ რომელ კომპეტენციებზეა კონკრეტულად საუბარი, საკმაოდ არამყარია ფორმულირებები ამ მიმართულებით.

წევრი სახელწიფოების პრაქტიკის საუკეთესო მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ზრდასრულთა საჭიროების გაგება ფოკუსირებული უნდა იყოს ნათლად განსაზღვრულ ნაციონალურ, რეგიონალურ და/ან ადგილობრივ პრიორიტეტებზე. მათ უნდა მიგვიყვანონ ისეთ ინფრასტრუქტურებამდე, რომლებიც აღიარებენ და ითვალისწინებენ ზრდასრულთა განსხვავებულ საჭიროებებს და კვალიფიცირებული პედაგოგ/ტრენერების საშუალებით ხელმისაწვდომს გახდიან სტიმულირებას, პროფესიულ ორიენტაციასა და კონსულტირებას. გათვალისწინებულ უნდა იქნას მოსწავლეთა განსაკუთრებული მდგომარეობა: მათი წინა გამოცდილება, სწავლის საჭიროება და მისწრაფება მისკენ, ასევე ანგარიში უნდა გაეწიოს ისეთ მოვლენებს, რომლებიც უკავშირდება სოციალურ და დასაქმების პოლიტიკას და ითხოვს ყველა პარტნიორის ჩართულობას.

პრაქტიკაში უკვე არსებული საუკეთესო მაგალითების მიუხედავად, საკვანძო კომპეტენციების გაგება იშვიათად ერგება ყველა ასაკის მოქალაქეთა სწავლის საჭიროებებს. ამ კონტექსტში წინამდებარე დოკუმენტს ენიჭება მნიშვნელოვანი ღირებულება, რომელმაც უნდა შეასრულოს იმ სარეკომენდაციო პაკეტით, რომლებშიც განსაზღვრულია საყოველთაოდ აუცილებელი საკვანძო კომპეტენციები. რეკომენდაციები ხელს შეუწყობენ წევრი სახელმწიფოების მისწრაფებას მოახდინონ საკვანძო კომპეტენციების სრული ინტეგრირება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტრატეგიებსა და ინფრასტრუქტურებში.

1.4. ევროკავშირის სხვა პოლიტიკურ კურსებთან და ამოცანებთან ურთიერთკავშირი

რეკომენდაციები ხელშემწყობი ფაქტორი იქნება ლისაბონის მიზნების — ეკონომიკური ზრდის, უფრო მეტი და გაუმჯობესებული სამუშაო ადგილების შექმნისა და უფრო მჭიდრო სოციალური ურთიერთგათანაბრების მიღწევის გზაზე:

- წევრ სახელმწიფოთა კომპლექსური სახელმძღვანელო მითითებები დასაქმების პოლიტიკაში[7] აღიარებენ კომპეტენციების მნიშვნელობას (განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ფენებისათვის) და ცვლილებებზე მორგებას. ეს უნდა გახდეს არსებითი ელემენტი წევრ სახელმწიფოთა ნაციონალური რეფორმების პროგრამების კომპლექსური სახელმძღვანელო მითითებების განხორციელებისას.
- სოციალური პოლიტიკა განსაკუთრებულ როლს მიაკუთვნებს განათლებასა და წვრთნას, როგორც სიღარიბისაგან თავდაღწევის გზას და/ან განმსაზღვრელ ფაქტორს უფრო მეტი სოციალური ურთიერთგათანაბრების მისაღწევად.
- ახალგაზრდობის პაქტი[8] მოუწოდებს, რომ ცოდნა უნდა შეესაბამებოდეს ასევე ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკას და აქედან გამომდინარე, წაახალისებს ძირითადი უნარ-ჩვევების ერთობლიობას.
- მეწარმეობის სამოქმედო გეგმა[9] აღიარებს განათლების მნიშვნელოვან როლს; მეწარმეობა ერთ-ერთი საკვანძო კომპეტენციაა.
- 'საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის — ევროპული ჩარჩო' შეიცავს ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც სულ უფრო მეტად უზრუნველყოფენ ადამიანების ჩართულობას მდგრადი განვითარების პროცესებში და განსაზღვრავენ მათი დემოკრატიული მოქალაქეობის ხარისხს.

2. დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციები და გავლენის შეფასება

ამ დოკუმენტის საფუძველს წარმოადგენს 'საკვანძო კომპეტენციების ევროპული ჩარჩო', ის შემუშავდა წევრი სახელმწიფოების, EFTA/EEA ქვეყნების, 2003 წლის ივლისიდან წევრობის კანდიდატ-ქვეყნებისა და ევროპული ასოციაციების წარმომადგენელი ექსპერტებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის მიერ. ექსპერტთა ჯგუფში შედიოდნენ პოლიტიკოსები, პრაქტიკოსები და აკადემიური სფეროს მკვლევარები, რომლებიც შეისწავლიდნენ, როგორც ზრდასრულთა, ასევე სავალდებულო განათლებას, სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ ასევე ევროპული მასშტაბის დაინტერესებული მხარეები.

ექსპერტთა ჯგუფის სამუშაოს განხილვა ხდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციათა და ევროპული მასშტაბის დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოწყობილ კონფერენციებსა და სემინარებზე. განათლების მინისტრებმა თავიანთი არაფორმალურ შეხვედრისას როტერდამში 2004 წლის ივლისში განიხილეს საკვანძო კომპეტენციების 'საერთო ევროპული მიდგომა' და მხარი დაუჭირეს კომისიას კვლავაც გაგრძელებინა მუშაობა ამ ინიციატივაზე.

ხუთი ექსპერტისაგან შემდგარი ჯგუფი (უნივერსიტეტებისა და სკოლის განვითარების სახელმწიფო სააგენტოებიდან) შეიკრიბა 2005 წლის გაზაფხულზე, რათა სრულყოფილი ფორმა მიეცა ჩარჩო-რეკომედაციებისათვის მის მიერ გაწეული ექსპერტიზის, კონფერენციების საშუალებით და სხვა წყაროებით მიღებული კომენტარებისა თუ შენიშვნების საფუძველზე, ასევე ემსჯელა მათ განხორციელებაზე.

პროფესიული განათლების ექსპერტთა კომიტეტის კონსულტაციები მიმდინარეობდა 2005 წლის სექტემბერ-ოქტომბერში.

2.1. ექსპერტიზის შეგროვება და გამოყენება

რეკომენდაციების შემუშავებასთან დაკავშირებით შესაბამისი საერთაშორისო სამუშაოს შესასრულებლად მოწვეულ იქნა კონსულტანტი. ისეთი სპეციფიური თემები, როგორიც იყო 'საერთო ევროპული მიდგომა', სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა უზრუნველყოფა და მეწარმეობა მომზადდა მცირე ჯგუფებში და მიღებულ იქნა უფრო ფართო წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფის[10] მიერ.

ჩატარებულმა კონსულტაციებმა და ექსპერტიზამ დაადასტურა ევროპული მასშტაბის ინიციატივის საჭიროება და დააფიქსირა, რომ დასახული მიზანი შეესაბამება თანამედროვე ტენდენციებს და აქვს მომავალი.

2.2. გავლენის შეფასება

ეს რეკომენდაციები ხელს შეუწყობს წევრი სახელმწიფოების მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტრატეგიებისა და განათლების და წვრთნის სისტემების განვითარებას. ის იქნება დამხმარე საშუალება სასწავლო პროგრამების, კურიკულუმების რეფორმირებისას და მათ შესახებ წამოჭრილი დებატებისას, ასევე მისცემს იმპულსს ზრდასრულთა განათლებისა და წვრთნის თანამიმდევრულ უზრუნველყოფას. შედეგად კი ამან დადებითი გავლენა უნდა იქონიოს ინდივიდთა პიროვნულ, სოციალურ და პროფესიონალურ ცხოვრებაზე და — უფრო ფართო მასშტაბით — მიგვიყვანოს ლისაბონის მიზნების განხორციელებამდე, რაც საბოლოო ჯამში გულისხმობს უფრო მეტ სოციალურ ურთიერთგათანაბრებას, ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობასა და ზრდას. ყველაზე დიდი გავლენა მან უნდა იქონიოს

[7] ევროპული საბჭოს 2005 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება წევრ სახელმწიფოთა დასაქმების პოლიტიკის სახელმძღვანელო მითითებები. OJ L 205/21 - 06.08.2005

[8] ევროპის ახალგაზრდობის პაქტი, http://ue.eu.int/ueDocs/cms_Data/docs/pressData/en/ec/84335.pdf

[9] http://europa.eu.int/comm/enterprise/entrepreneurship/promoting_entrepreneurship/doc/com_70_en.pdf

[10] საკვანძო კომპეტენციების სამუშაო ჯგუფი, 2004 წლის მიმდინარე ანგარიში

სოციალურად დაუცველ ფენებზე, მათზე ვისაც დღეს არა აქვს საშუალება შეიძინოს საკვანძო კომპეტენციები.

3. რეკომენდაციების იურიდიული ელემენტები

3.1. შეთავაზებულ ქმედებათა რეზიუმე

წინამდებარე რეკომენდაციები განსაზღვრავენ იმ საკვანძო კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია ყველა მოქალაქისათვის ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკასა და საზოგადოებაში. მათში გაცნობიერებულია, რომ განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ნაციონალურ, რეგიონალურ და/ან ადგილობრივ დონეებზე. ისინი მოუწოდებენ წევრ სახელმწიფოებს, რომ საკვანძო კომპეტენციების მიღება ყველასათვის გარანტირებული იყოს დაწყებითი განათლებისა და წვრთნის დასრულების შემდეგ და ევროპული რეკომენდაციებით წაახალისონ ისინი აღმოფხვრან განათლების სფეროში არსებული ხარვეზები. რაც შეეხება ზრდასრულებს, რეკომენდაციები ყველა შესაბამისი პარტნიორის მონაწილეობით მოუწოდებენ კომპლექსური ინფრასტრუქტურის შექმნისაკენ.

რეკომენდაციები ევროკომისიას სთავაზობენ მხარი დაუჭიროს რეფორმებს ნაციონალურ დონეებზე, კერძოდ კი:

- სწავლის თანაბარ დონეს, პრაქტიკის საუკეთესო მაგალითების ურთიერთგაზიარებასა და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სამუშაო პროგრამისათვის - განათლება და წვრთნა 2010 წარუდგინოს მიმდინარე ანგარიშები;
- წაახალისოს თანამეგობრობის განათლებისა და წვრთნის პროგრამების შესაბამისი პროექტები;
- ლობირებდეს საკვანძო კომპეტენციების მნიშვნელობის იდეას დასაქმებისა და სოციალურ პოლიტიკასთან კავშირში;
- ხელი შეუწყოს სოციალურ პარტნიორებთან და სხვა დანარჩენ შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

3.2. იურიდული საფუძველი

ევროკავშირის ხელშეკრულების 149 სტატიის მიხედვით თანამეგობრობა ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს ხარისხიანი განათლების მიღწევის საქმეში წევრ სახელმწიფოთა შორის კოოპერაციის წახალისებით და ასევე საჭიროების მიხედვით მათი ქმედებების მხარდაჭერითა და შესრულებით. ამავე დროს პატივს უნდა სცემდეს წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობას მათი სწავლების შინაარსისა და განათლების სისტემების ორგანიზაციის გამო, ასევე კულტურულ და ლინგვისტურ მრავალფეროვნებას. რეკომენდაციების მიზანია, ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოთა მცდელობას განავითარონ, როგორც თავიანთი საბაზისო განათლებისა და წვრთნის სისტემები, ასევე უზრუნველყონ ზრდასრულთა განათლება და წვრთნა საკვანძო კომპეტენციების სარეკომენდაციო პაკეტით და მოუწოდოს მათ გააგრძელონ კოოპერაცია სამუშაო პროგრამაში - განათლება და წვრთნა 2010. აღნიშნული სტატიის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, რეკომენდაციების მიზანია, საკვანძო კომპეტენციებთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებზე განავითაროს ინფორმაციისა და გამოცდილების შემდგომი გაზიარება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

ევროკავშირის ხელშეკრულების 150 სტატია ადასტურებს, რომ თანამეგობრობა თავისი ქმედებებით ხელს უნდა უწყობდეს და ავსებდეს წევრი სახელმწიფოების ქმედებებს, განსაკუთრებით კი, როგორც ეს დასახელებული სტატიის მე-2 პარაგრაფშია აღნიშნული, უნდა აუმჯობესებდეს დაწყებით პროფესიული განათლების ხარისხს, ეხმარებოდეს პროფესიულ ინტეგრაციაში და რეინტეგრაციაში, ასევე ახდენდეს ზოგად საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას. რეკომენდაციების ამოცანაა პროფესიული განათლებისა და წვრთნის ყველა ამ ასპექტის გაუმჯობესება საკვანძო კომპეტენციების შესახებ სარეკომენდაციო პაკეტის მიწოდების გზით, ისინი დაეხმარებიან წევრ სახელმწიფოებს მოარგონ პროფესიული განთლებისა და წვრთნის სისტემები შრომის ბაზრისა და ზოგადად საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების მოთხოვნილებებს.

3.3. სუბსიდიარობის და პროპორციულობის პრინციპები

შემოთავაზებული რეკომენდაციებს თავისი წვლილი შეაქვთ განათლებისა და წვრთნის ხარისხის ამაღლებაში, ხელს უწყობენ რა წევრი სახელმწიფოების მუშაობას, რომელიც მათ მიერ დასახული იქნა სამუშაო პროგრამის ***განათლება და წვრთნა 2010*** ფარგლებში და ასევე 2003 წლის ევროპული საბჭოს რეკომენდაციის მიღების შესაბამისად. ის ხელს უწყობს ნაციონალურ რეფორმებს და სხვა ქვეყნების პრაქტიკის საუკეთესო მაგალითების შესწავლას, რათა დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტრატეგიებში საკვანძო კომპეტენციების კომპლექსური და თანამიმდევრული ჩართვა. სწორედ ამიტომ ეს რეკომენდაცია ეთანხმება სუბსიდიარობის პრინციპს. წარმოადგენს რა ყველა მოქალაქისათვის საკვანძო კომპეტენციების ევროპულ ჩარჩოს, ქმნის და აძლიერებს პოლიტიკურ ნებას რეფორმებისათვის, რომელიც თანამეგობრობაში შეუძლებელია მიღწეულ იქნას მხოლოდ განათლებისა და წვრთნის პროგრამებით. მიუხედავად ამისა, რეკომენდაციების განხორციელებას ის სრულად მიანდობს წევრ სახელმწიფოებს და აქ ვლინდება მისი პროპორციულობის პრინციპი.

4. ბიუჯეტი

ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს წინადადება რეკომენდაციების შესახებ არ ეხება თანამეგობრობის ბიუჯეტს.

საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის

ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაციები

ევროკავშირის პარლამენტი და საბჭო ითვალისწინებენ რა:

თანამეგობრობის ხელშეკრულების 149 (4) და 150 (4) სტატიებს,
ევროკომიისის წინადადებას,
ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ოფიციალურ შეხედულებას,
რეგიონების კომიტეტის ოფიციალურ შეხედულებას და
მოქმედებენ რა, ამავე ხელშეკრულების 251 სტატიით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით, აცხადებენ, რომ:

(1) 2000 წლის ლისაბონის ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ევროპულ ჩარჩოს უნდა განესაზღვრა ახალი საბაზისო უნარ-ჩვევები, როგორც განმსაზღვრელი მომენტი ევროპის მხრიდან მიეღო გლობალიზაციისა და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის მზარდი გამოწვევა, ასევე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმისათვის, რომ ადამიანია ევროპის მთავარი ფასეულობა. მას შემდეგ ეს გადაწყვეტილებები სისტემატურად მტკიცდებოდა 2003-2005 წწ. ევროპულ საბჭოებზე და 2005 წელს ხელახლა მიღებულ ლისაბონის სტრატეგიაში.

(2) 2001 წლის სტოკჰოლმისა და 2002 წლის ბარსელონის ევროპულმა საბჭოებმა კიდევ ერთხელ დასახეს ევროპის განათლებისა და წვრთნის სისტემებისა და სამუშაო პროგრამის - განათლება და წვრთნა 2010 სამომავლო ამოცანების 2010 წლისათვის გადაჭრა. ეს ამოცანები მოიცავენ ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისათვის უნარ-ჩვევების განვითარებას და სპეციფიურ ამოცანებს უცხო ენების შესწავლის ხელშეწყობისათვის, მეწარმეობის სულისკვეთების და განათლებაში საერთო ევროპული მიდგომის გაძლიერების საყოველთაო აუცილებლობას.

(3) მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესახებ კომისიის მუშაობის შედეგად საბჭოს 2002 წლის 27 ივნისის რეზოლუციაში "ახალი საბაზისო უნარ-ჩვევები" განისაზღვრა, როგორც პრიორიტეტი და ხაზი გაესვა იმას, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლამ ადამიანის ცხოვრებაში უნდა მოიცვას მისი სკოლამდელი ასაკიდან პენსიაზე გასვლის შემდგომი პერიოდი. **ახალგაზრდობის პაქტი,** რომელიც თან ერთვოდა 2005 წლის მარტის ბრიუსელის ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებებს, ასევე უსვამს ხაზს აუცილებლობას შემუშავდეს ძირითადი უნარების ზოგადი ჩარჩო (a comman set of core skills).

(4) ევროპული თანამეგობრობის დასაქმების პოლიტიკის გაუმჯობესების კონტექსტში 2003 წლის მარტსა და დეკემბერში შეკრებილმა ევროპულმა საბჭოებმა ხაზი გაუსვეს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საჭიროებას, რომლის ფარგლებში უმუშევარ და არააქტიურ ადამიანებთან მიმართებაში განსაკუთრებული ფოკუსირება უნდა გაკეთდეს ქმედითი და პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე.

ამ კონსტატაციას მოჰყვა **დასაქმების სტრატეგიის** დასახვა, რომელმაც გამოხატა ადამიანებისათვის ცვლილებებზე მორგების უნარის საჭიროება, შრომის ბაზარზე მათი ინტეგრაცია და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის განმსაზღვრელ ფაქტორად აღიარება.

(5) 2004 წლის ნოემბრის ევროპული საბჭოს მიერ დამტკიცებულ მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ განათლება საზოგადოებაში ზოგადი კულტურული ფონის დაცვასა და განახლებას ემსახურება, ამის აღნიშვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დროს, როდესაც ყველა ნევრი-სახელმწიფო დგას იმ საკითხის გადაწყვეტის წინაშე, თუ როგორ უნდა "გაუმკლავდეს" მზარდ სოციალურ და კულტურულ მრვალფეროვნებას. უფრო მეტიც, შესაძლებელი გახადო ადამიანთა შრომითი ცხოვრების მუდმივობა, განათლების როლის მნიშვნელოვანი ნაწილია სოციალური ურთიერთგათანაბრების გაძლიერების საქმეში.

(6) 2003 წლის მაისის ევროპული საბჭოს მიერ მიღებული ოთხი სარეკომენდაციო დონე ('ამოსავალი პუნქტები') იმ გადაწყვეტილების დემონსტრირებაა რომელიც მიმართულია საშუალო ევროპული პერფორმანსის საგრძნობი გაუმჯობესებისაკენ. სარეკომენდაციო დონეები, რომლებშიც შედის წერა-კითხვის ცოდნა, სკოლის ადრეულ ასაკში მიტოვება, სრული საშუალო განათლება და ზრდასრულთა ჩართვა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროცესში, მჭიდრო კავშირში არიან საკვანძო კომპეტენციების განვითარებასთან.

(7) ლისაბონის განათლებისა და წვრთნის[11] ამოცანების განხორციელების მიმდინარეობის კომისიის 2005 წელს მიღებული მოხსენების თანახმად, არ შეიმჩნევა პროგრესი 15 წლის ასაკში წერა-კითხვის არმცოდნეთა პროცენტული მაჩვენებლის კლებაში, ასევე არ გაზრდილა სრული საშუალო განათლების მიმღებთა რიცხვი.
გარკვეული პროგრესი აღინიშნა არასრული საშუალო განათლების შემცირებაში, თუმცა დღევანდელი მონაცემებით 2003 წლის საბჭოს მიერ 2010 წლისათვის განსაზღვრული სარეკომენდაციო დონის მიღწევა შეუძლებელია. ზრდასრულთა მონაწილეობა სასწავლო პროცესში არაა საკამარისად მზარდი პროცესი, რომელიც 2010 წლის სარეკომენდაციო დონის შესაბამისი იქნებოდა, არსებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ დაბალი კვალიფიკაციის ადამიანები ნაკლებად ავლენენ შემდგომი განათლების მიღების სურვილს.

[11] SEC(2005)419

(8) 2002 წლის მარტის ევროპული დონის სოციალურმა პარტნიორების მიერ მიღებული ჩარჩო-პირობები კომპეტენციებისა და კვალიფიკაციების მთელი სიცოცხლის მანძილზე განვითარებისათვის ხაზს უსვამენ ბიზნესის მხრიდან იმის საჭიროებას, რომ რაც შეიძლება დროულად მოახდინოს თავისი სტრუქტურების ადაპტირება კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად.
გუნდური მუშაობა, იერარქიულ საფეხურებზე მზარდი სვლა, პასუხისმგებლობების დელეგირება და მრავალი ამოცანის გადაჭრის გაზრდილი მოთხოვნილება იწვევს საგანმანათლებლო ორგანიზაციების რიცხვის ზრდას. ამ კონტექსტში, ორგანიზაციების უნარი მოახდინონ კომპეტენციების იდენტიფიცირება, მობილიზება და აღიარება, რომლებიც ყველა დამსაქმებელისათვის მისაღები იქნება, წარმოდგენს ახალი კონკურენტუნარიანი სტრატეგიის საფუძველს.

(9) პროფესიული განათლებისა და წვრთნის მაასტრიხტის კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი სხვაობა ახალი პროფესიების შესწავლის საჭირო დონეებსა და იმ დონეს შორის, რომელსაც ღებულობს ევროპის სამუშაო ძალა. მათი 1/3 მეტი (80 მლნ. ადამიანი) დაბალი კვალიფიკაციისა, მაშინ, როცა 2010 წლისათვის საჭირო ახალი პროფესიების 50% მოითხოვს უმაღლესი განათლების დონის კვალიფიკაციებს, ხოლო 40% - ზე ნაკლები სრულ საშუალო განათლებას და მხოლოდ დაახლოებით 15% - საბაზისო განათლებას.

(10) ახალგაზრდების საჭირო საკვანძო კომპეტენციებით აღჭურვა და მიღებული განათლების დონის გაუმჯობესება ივნისის 2005 წლის საბჭოს მიერ მიღებული - *2005-2008 წლებისათვის განვითარებისა და დასაქმების კომპლექსური სახლმძღვანელო მითითებების* მნიშვნელოვანი ნაწილია. კერძოდ კი, აღნიშნული მითითებები დასაქმების საკითხებში მოგვიწოდებენ განათლებისა და წვრთნის სისტემების ადაპტირებისაკენ ახალი კომპეტენციების მოთხოვნილებების შესაბამისად პროფესიული საჭიროებების და საკვანძო კომპეტენციების ზუსტი იდენტიფიცირებისაკენ, რომელიც წევრი სახელმწიფოების მიერ რეფორმატორული პროგრამების ნაწილს შეადგენს.

(11) 2004 წლის მაღალი დონის ჯგუფის მოხსენებამ ლისაბონის სტრატეგიის შესახებ ცხადი გახადა, რომ ევროპაში საკმარისი არაა ის, რაც კეთდება ადამიანთა იმ უნარებით აღჭურვის საქმეში, რომლებიც მათ მზარდ შრომის ბაზარს მოარგებდა და, რომ ეს თანაბრად ეხება მაღალი და დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ადგილებს, როგორც მრეწველობის, ასევე მომსახურების სფეროში.

(12) ევროპული საბჭოსა და კომისიის 2004 წელს მიღებულმა ერთობლივმა მოხსენებამ სამუშაო პროგრამის შესახებ - განათლება და წვრთნა 2010 კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარანტიის აუცილებლობას, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონდეს კომპეტენციები, რომლებიც მათთვის აუცილებელია წევრი სახელმწიფოების მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტრატეგიით. რეფორმების წახალისებისა და მხარდაჭერის მიზნით, მოხსენებამ სასურველად ჩათვალა საერთო ევროპული რეკომენდაციებისა და პრინციპების შემუშავება და პრიორიტეტი მიანიჭა საკვანძო კომპეტენციების ჩარჩოს.

(13) ამ რეკომენდაციების ამოცანაა, ხარისხიანი განათლების განვითარების საქმეში თავისი წვლილის შეტანის მიზნით, წევრი სახელმწიფოების ღონისძიებების მხარდაჭერა და მათი რიცხვის გაზრდა. იმ გარანტიის მისაღწევად, რომ წევრი სახელმწიფოების დაწყებითი განათლებისა და წვრთნის სისტემები ყველა ახალგაზრდას შესთავაზებს საკვანძო კომპეტენციების იმ დონემდე განვითარებას, რომ შეამზადოს ისინი შემდგომი განათლებისათვის ზრდასრულ ცხოვრებაში და რომ მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტში ზრდასრულებს ექნებათ უნარი მათი საკვანძო კომპეტენციების შემდგომი განახლებისა და განვითარებისა.
პოლიტიკოსებს, განათლებისა და წვრთნის პროვაიდერებს, დამსაქმებლებს, თავად სწავლის მსურველებს ის სთავაზობს ნაციონალური რეფორმების ხელშეწყობას და წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლას სამუშაო პროგრამის განათლება და წვრთნა 2010-ის ფარგლებში. ამის მიზანი დასახული ევროპული *სარეკომენდაციო დონეების* მიღწევაა. უფრო მეტიც ეს რეკომენდაციები მხარს უჭერენ ისეთ მონათესავე სფეროებს, როგორიცაა დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკა, ასევე პოლიტიკათა იმ ნაწილებს, რომელიც ახალგაზრდობაზეა ორიენტირებული.

(14) ეს რეკომენდაციები შეესაბამება ხელშეკრულების მე-5 სტატიის სუბსიდიარობის პრინციპს იმდენად, რამდენადაც მისი ამოცანაა წევრი სახელმწიფოების ქმედებების თანადგომა და შევსება საერთო ამოსავალი წერტილების განსაზღვრის გზით, რომლების მიზანიც ნაციონალური რეფორმების წახალისება - მხარდაჭერა და წევრი სახლმწიფოების შემდგომი კოოპერაციაა. რეკომენდაციები ასევე შეესაბამება ამავე სტატიაში აღნიშნულ პროპორციულობის პრინციპს, რადგან რეკომენდაციების შესრულება თავად წევრი სახელმწიფოების პრეროგატივაა და არ ეწინააღმდეგება იმ საჭიროებებს, რომლებიც აუცილებელია დასახული ამოცანების მისაღწევად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წევრ სახელმწიფოებისათვის რეკომენდირებულია, რომ მათ

შექმნან გარანტია იმისა, რომ:

1. დაწყებითმა განათლებამ და წვრთნამ ყველა ახალგაზრდას მისცეს საშუალება იმ დონემდე განივითაროს თავისი საკვანძო კომპეტენციები, ისე "შეიარაღდეს" ზრდასრული ცხოვრებისათვის, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ჰქონდეს საფუძველი შემდგომი განათლებისა და მუშაობისათვის;

2. არსებობს შესაბამისი პირობები პიროვნული, სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური გარემოებებით გამოწვეული განათლების მიღების ნაკლები შანსის მქონე ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ თავიანთი სასწავლო პოტენციალის გამოსაყენებლად;

3. ზრდასრულებს აქვთ უნარი განავითარონ და განაახლონ თავიანთი საკვანძო კომპეტენციები მთელი ცხოვრების მანძილზე და რომ განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იქნებიან ის სამიზნე ჯგუფები, რომლებიც ნაციონალური, რეგიონალური და/ან ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე მიჩნეული არიან პრიორიტეტულებად.

4. არსებობს უწყვეტი განათლებისა და წვრთნის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, თავისი პედაგოგებითა და მწვრთნელებით, ღონისძიებების პაკეტით, რომელიც აცნობიერებს რა ზრდასრულთა განსხვავებულ საჭიროებებს, უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობასა და ეხმარება სწავლის მსურველებს.

5. ზრდასრულთა განათლებისა და წვრთნის უზრუნველყოფა ყოველი თითოეული მოქალაქისათვის დასაქმებისა და სოციალურ პოლიტიკასთან, ასევე სხვა პოლიტიკურ პროცესებთანაა კავშირში, რომლებიც ახალგაზრდების, სოციალური პარტნიორებისა თუ სხვა დაინტერესებული მხარეების ურთიერთობას ეხება.

6. ევროპული ჩარჩო — 'საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის' ***გამოიყენონ,*** როგორც სარეკომენდაციო პაკეტი, როგორც ნაწილი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტრატეგიისა ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი საკვანძო კომპეტენციების განვითარებისათვის.

ევროკომისიას განზრახული აქვს:

1. მხარი დაუჭიროს წევრი-სახელმწიფოების მცდელობას განავითაროს თავისი განათლებისა და წვრთნის სისტემები და გაითვალისწინოს ეს რეკომენდაციები, როგორც ინსტრუმენტი სწავლის თანაბარი დონის მისაღწევად, პრაქტიკის საუკეთესო მაგალითების ურთიერთგაზიარებისათვის და ყურადღების ცენტრში ექნება რა ამ სფეროში მიმდინარე ცვლილებები, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ შეაფასებს თავის სამუშაო პროგრამის 'განათლება და წვრთნა 2010' ანგარიშში;

2. გამოიყენოს ჩარჩო, როგორც რეკომენდაცია თანამეგობრობის ქვეყნების განათლებისა და წვრთნის პროგრამების განხორციელებისას და გარანტირებული გახადოს მათ მიერ საკვანძო კომპეტენციების მიღების ხელშეწყობა.

3. ხელი შეუწყოს ევროპის თანამეგობრობაში ევროპული რეკომენდაციების ფართო გამოყენებას შესაბამის სფეროებში, განსაკუთრებით კი, დასაქმების, ახალგაზრდობის საკითხთა გადაწყვეტისა და სოციალურ პოლიტიკის განხორციელებისას; ხელშეწყობა ასევე უნდა გამოიხატოს სოციალურ პარტნიორებთან და სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებაში;

4. სამუშაო პროგრამის 'განათლება და წვრთნა 2010' ფარგლებში ევროპული რეკომენდაციების გავლენის შეფასების მიმოხილვა და ევროპარლამენტის მიერ ამ რეკომენდაციების დამტკიცებიდან ოთხწლიანი ფაზის გავლის შემდგომ მიღებული გამოცდილებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ანგარიშის წარმოდგენა.

საკვანძო კომპეტენციები
მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის – ევროპული ჩარჩო

შესავალი

წინამდებარე ჩარჩო შედგება რვა საკვანძო კომპეტენციისაგან:

1. მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია;
2. უცხო ენაზე კომუნიკაცია;
3. მათემატიკური კომპეტენცია და საბაზისო კომპეტენციები მეცნირებასა და ტექნოლოგიაში;
4. ციფრული კომპეტენცია;
5. დამოუკიდებლად სწავლის უნარი (learning to learn);
6. პიროვნებათაშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური კომპეტენციები და მოქალაქეობრივი კომპეტენცია;
7. მეწარმეობა;
8. კულტურული გამომხატველობა.

კომპეტენციები აქ განმარტებულია როგორც კონტექსისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების კომბინაცია. საკვანძო კომპეტენციები ყოველ ინდივიდს სჭირდება პიროვნული სრულყოფისა და განვითარებისათვის, იმისთვის, რომ იყოს აქტიური მოქალაქე, იყოს სოციალურად ჩართული და ჰქონდეს დასაქმების უნარი. დაწყებითი განათლებისა და წვრთნის მიღების შემდეგ ახალგაზრდებს უნდა შეეძლოთ საკვანძო კომპეტენციების ისეთ დონემდე განვითარება, რომ მომზადებული შეხვდნენ ზრდასრულ ცხოვრებას. როგორც ნაწილი მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისა ეს კომპეტენციები არამხოლოდ უნდა შენარჩუნდნენ, არამედ უნდა ვითარდებოდნენ მთელი მომდევნო ცხოვრების მანძილზე.

ბევრი კომპეტენცია ფარავს და უკავშირდება ერთმანეთს: ერთი კომპეტენციისათვის არსებით ასპექტებს, მხარდამჭერის ფუნქცია აქვთ მეორისათვის. კომპეტენცია ძირითად საბაზისო უნარებში: ენა, წერა-კითხვა, ანგარიში და საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნა მნიშვნელოვანი საფუძველია ზოგადად სწავლისათვის, ხოლო დამოუკიდებლად სწავლის უნარი კი ყველა სასწავლო პროცესის თანამდევი უნარია. ჩარჩოში მრავალგზის ნახსენები ცნებები, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, ინიციატივის აღება, პრობლემის გადაჭრა, რისკის შეფასება, გადაწყვეტილების მიღება და ემოციების მართვა, ყველა რვა კომპეტენციაში თავის კონსტრუქციულ როლს თამაშობს.

საკვანძო კომპეტენციები

1. მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია[12]

განმარტება: კომუნიკაცია ეს არის ფიქრების, გრძნობების და ფაქტების ზეპირმეტყველებაში და წერილობითი ფორმით გამოხატვა (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა) და ურთიერთობა ლინგვისტიკურად სოციალური და კულტურული კონტექსტების სრული დიაპაზონის შესაბამისი ფორმით – განათლება და წვრთნა, სამსახური, სახლი და თავისუფალი დრო.

კომპეტენციისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები

მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია ინდივიდისაგან მოითხოვს ძირითადი ლექსიკის, ფუნქციონალური გრამატიკისა და ენის ფუნქციების **ცოდნას**. ის მოიცავს სალაპარაკო ენაში ვერბალური ურთიერთობის სხვადასხვა ფორმების, სხვადასხვა ტიპის ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტების გაგებას, სხვადასხვა სტილისა და ფორმის დამახასიათებელი ნიშნების ცოდნას, კონტექსტის ცვლილებასთან ერთად ენისა და კომუნიკაციის ფორმების ცვლილებას.

ინდივიდს უნდა ჰქონდეს ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის **უნარი** მრავალფეროვან საკომუნიკაციო სიტუაციებში, აკვირდებოდეს და არგებდეს მათ სიტუაციის მოთხოვნებს. კომპეტენცია მოიცავს, როგორც განსხვავებული ტექსტების კითხვისა და გაგების უნარს, ასევე ინფორმაციის მოძიების, შეგროვებისა და გადამუშავების უნარს, რათა შემდგომ გამოიყენოს ის დანიშნულებისამებრ და კონტექსტის შესაბამისად დამაჯერებლად შეეძლოს არგუმენტების ფორმულირება და გამოხატვა.

მშობლიური ენისადმი პოზიტიური **დამოკიდებულება** წარმოადგენს მზადყოფნას კონსტრუქციული და კრიტიკული დიალოგისათვის, ენის ესთეტიური ფასეულობის აღიარებას და მისკენ მისწრაფების სურვილს, ასევე სხვებთან საუბრის ინტერესს.

2. უცხო ენაზე კომუნიკაცია

განმარტება: უცხო ენაზე კომუნიკაციისთვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევების თითქმის ემთხვევა მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის კრიტერიუმებს: ის ეფუძნება ფიქრების, გრძნობების და ფაქტების

[12] აღიარებულია, რომ მშობლიური ენა ყველა შემთხვევაში ვერ იქნება წევრ სახელმწიფოთა ოფიციალური ენა და, რომ ოფიციალურ ენაზე კომუნიკაციის უნარი წარმოადგენს ინდივიდის საზოგადოების ცხოვრებაში სრული თანამონაწილეობის გარანტიას.

გაგების, გამოხატვისა და ინტერპრეტირების უნარს, როგორც ზეპირი, ასევე წერითი ფორმით (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა) საზოგადოებრივ კონტექსტში შესაბამისი მასშტაბით – სამსახური, სახლი, გართობა, განათლება და წვრთნა – პიროვნების მოთხოვნილებებისა და სურვილებიდან გამომდინარე. უცხო ენაზე კომუნიკაცია ასევე მოითხოვს ისეთი უნარების ქონას, როგორიცაა შუამავლობა და კულტურათაშორისი გაგება. უნარიანობის ხარისხი იმერყევებს ოთხ განზომილებას შორის, სხვადასხვა ენების და ინდივიდის მემკვიდრეობის, გარემოს და საჭიროებების/ინტერესების გათვალისწინებით

კომპეტენციისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები

კომპეტენცია მეორე ან უცხო ენაში მოითხოვს ლექსიკის და ფუნქციონალური გრამატიკის, ასევე ვერბალური ურთიერთობისას ენის ძირითადი ტიპებისა და ფორმების ცოდნას. მნიშვნელოვანია ენის სოციალური გამოყენებისა და კულტურული ასპექტის მრავალფეროვნების ცოდნა.

არსებითი **უნარ-ჩვევები** შეიცავს მოსმენილი მესიჯების გაგებას, საუბრის წამოწყებას, წარმართვას და დასრულებას, ასევე ინდივიდის საჭიროების შესაბამისი ტექსტების კითხვასა და გაგებას. ინდივიდს ასევე უნდა შეეძლოს მისთვის გაწეული დახმარების შესაბამისი გამოყენება და ასევე ენის ინფორმალური შესწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპიდან გამომდინარე.

პოზიტიური **დამოკიდებულება** მოიცავს კულტურული განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების დაფასებას, ასევე დაინტერესებასა და ცნობისმოყვარეობას ენების შესწავლისათვის და ინტერკულტურული კომუნიკაციისათვის.

3. მათემატიკური კომპეტენცია და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში

განმარტება:
ა. მათემატიკური კომპეტენცია არის შესაძლებლობა გამოიყენო შეკრება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა და შეფარდება გონებაში და წერითი ანგარიშისას ყოველდღიური პრობლემების გადასაჭრელად. მნიშვნელოვანია თავად პროცესი და არა შედეგი, მოქმედება და არა ცოდნა. მათემატიკური კომპეტენცია მოიცავს მათემატიკური აზროვნების მოდელის გამოყენების უნარსა და მზადყოფნას (ლოგიკური და მასშტაბური აზროვნება) და აგრეთვე მის პრეზენტაციას (ფორმულების, მოდელების, კონსტრუქციების, გრაფების/ცხრილების სახით).
ბ. მეცნიერული კომპეტენცია გულისხმობს ინდივიდის მზადყოფნას და უნარს ახსნას ბუნებრივი სამყარო არსებული ცოდნისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით და გააკეთოს დასკვნა დაფუძნებული მიღებულ ინფორმაციაზე. კომპეტენცია ტექნოლოგიაში განიხილება, როგორც ცოდნისა და მეთოდოლოგიის გაგება და გამოყენება, ბუნებრივი გარემოს გასაგები ადამიანური მოთხოვნილებებისა და სურვილების შესაბამისად მოდიფიცირების მიზნით. ამ კომპეტენციის ორივე სფერო მოიცავს ადამიანათა ქმედებების შედეგად გამოწვეული ცვლილებების გაგებასა და პასუხისმგებლობას თითოეული ინდივიდისაგან.

კომპეტენციისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები

ა. ამ კომპეტენციისათვის აუცილებელი ცოდნა მოიცავს ციფრების, საზომი ერთეულების და სტრუქტურების, ძირითადი მათემეტიკური ოპერაციებისა და წარმოდგენების, ტერმინებისა და კონცეფციების გაგებას, ასევე იმ კითხვების გაგებას, რომლებზე პასუხსაც მათემატიკა გვთავაზობს.

ინდივიდს უნდა ჰქონდეს უნარი გამოიყენოს ძირითადი მათემატიკური პრინციპები და პროცესები ყოველდღიურ საქმიანობაში სახლსა თუ სამსახურში, ასევე უნდა შეეძლოს მიჰყვეს წამოყენებული არგუმენტების ლოგიკურ ჯაჭვს, შეაფასოს ისინი და გამოიტანოს დასკვნა. ინდივიდს უნდა შეეძლოს იაზროვნოს მათემატიკურად, გაიგოს მათემატიკური მტკიცებულება და ჰქონდეს მათემატიკურ ენაზე კომუნიკაციის უნარი, რათა გამოიყენოს მისთვის გაწეული შესაბამისი დახმარება.
დადებითი დამოკიდებულება მათემატიკაში ეფუძნება ჭეშმარიტების პატივისცემას და მზადყოფნას ეძიო მიზეზები და შეაფასო მათი ვარგისიანობა.

ბ. მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში არსებითი ცოდნა მოიცავს ბუნებრივი სამყაროს ძირითადი კანონების, ფუნდამენტალური მეცნიერული კონცეფციების, პრინციპებისა და მეთოდების, ტექნოლოგიებისა და ტექნიკური პროდუქციის წარმოების ცოდნას. ინდივიდებს უნდა შეეძლოთ მეცნიერული თეორიების პროგრესის, შეზღუდვებისა და რისკის აღქმა, მათი საზოგადოებაში ფართო გამოყენება (იგულისხმება მათი მიმართება გადაწყვეტილების მიღებასთან, შეფასებასთან, მორალურ საკითხებთან, კულტურასთან და ა.შ.).

უნარ–ჩვევები მოიცავს ტექნოლოგიური იარაღებისა და მანქანების, ისევე როგორც მეცნიერული მონაცემებისა და მიმდინარე ცვლილებებზე ინფორმაციის გამოყენებასა და მანიპულირებას მიზნის მისაღწევად ან დასკვნების გასაკეთებლად. ინდივიდებს ასევე უნდა შეეძლოთ სამეცნიერო კვლევის არსებითი თვისებების ამოცნობა და დასკვნების გაკეთება, განმატება იმისა თუ რას მივყევართ ამ დასკვნებამდე.

კომპეტენციაში **დამოკიდებულებები** უკავშირდება კრიტიკულ შეფასებასა და ცნობისმოყვარეობას, ეთიკური საკითხებით დაინტერესებას, როგორც უსაფრთხოების, ასევე მდგრადობის პატივისცემას.

განსაკუთრებით კი ეს შეეხება სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პროგრესს საკუთარ თავთან, ოჯახთან, საზოგადოებასა და გლობალურ საკითხებთან მიმართებაში.

4. ციფრული კომპეტენცია

განმარტება: ციფრული კომპეტენცია მოიცავს საზოგადოებრივი ტექნოლოგიების ინფორმაციის (IST) თავდაჯერებულ და კრიტიკულ გამოყენებას სამუშაოსთვის, გართობისა და კომუნიკაციისთვის. ის ეფუძნება საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების (ICT) საბაზისო ცოდნას: ინფორმაციის მიღება, შეფასება, შენახვა, წარმოება, წარმოდგენა და გაცვლია, აგრეთვე ინტერნეტის ქსელში ჩართვა და კომუნიკაცია.

კომპეტენციისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები

ციფრული კომპეტენცია მოითხოვს ყოველდღიურ კონტექსტში, როგორც პირად და სოციალურ ცხოვრებაში/სამსახურში, საზოგადოებრივი ტექნოლოგიების ინფორმაციის ბუნების, როლისა და შესაძლებლობების მდგრად ცოდნას. ის მოიცავს მთავარი კომპიუტერული მანიპულაციების ცოდნას: ტექსტის დამუშავებას, ცხრილების შედგენას, მონაცემთა ბაზის შექმნას, ინფორმაციის შენახვასა და მენეჯმენტს; ინტერნეტით და ელექტრონული მედიით კომუნიკაციას (ელ-ფოსტით, ქსელის შესაძლებლობებით) შემოთავაზებების გაცნობიერებას თავისუფალი დროის გატარებისათვის, ინფორმაციის გაცვლისათვის, ქსელში ურთიერთკავშირისათვის, სწავლისა და კვლევისათვის; ინდივიდს ასევე უნდა შეეძლოს საზოგადოებრივი ტექნოლოგიების ინფორმაციის პოტენციალის გააზრება, მისი როლის განსაზღვრა შემოქმედებით და ინოვაციურ მიღწევებში, ისევე, როგორც ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანდოობის და ვარგისიანობის გაცნობიერება და მისი ინტერაქტიული გამოყენებისას ეთიკური ნორმების პატივისცემა.

საჭირო **უნარ-ჩვევები** მოიცავენ: ინფორმაციის მოძიებას, შეგროვებასა და გადამუშავებას, მათ კრიტიკულ და მეთოდურ გამოყენებას, მნიშვნელოვანის უმნიშვნელოსაგან და რეალურის ვირტუალურისაგან გარჩევის უნარს. ინდივიდს უნდა შეეძლოს კომპლექსური ინფორმაციის წარმოება, წარდგენა და გაგება, ასევე ინტერნეტით შემოთაზებული მომსახურების მიღება, მოძიება და გამოყენება. საზოგადოებრივი ტექნოლოგიების ინფორმაციის გამოყენებით უნდა შეეძლოს ასევე კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომის მხარდაჭერა.

საზოგადოებრივი ტექნოლოგიების ინფორმაციის გამოყენება ითხოვს კრიტიკულ და გააზრებულ მოქმედებას მოპოვებულ ინფორმაციასთან მიმართებაში, ასევე ინტერაქტიული მედიის პასუხისმგებლობით გამოყენებას. კომპეტენციას ასევე აძლიერებს საზოგადოებაში ჩართულობის ინტერესი და კულტურული, სოციალური და/ან პროფესიონალური მიზნებისათვის ქსელური მუშაობის შესაძლებლობა.

5. დამოუკიდებლად სწავლის უნარი (learning to learn)

განმარტება: დამოუკიდებლად სწავლის უნარი თანამდევი და მუდმივია. ინდივიდებს უნდა შეეძლოთ საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება, ინფორმაციისა და დროის ეფექტური გამოყენების გზით, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფში. კომპეტენცია მოიცავს ადამიანის მიერ საკუთარი სასწავლო პროცესისა და საჭიროებების ცოდნას, ხელმისაწვდომი შესაძლებლობების იდენტიფიცირების გზით, სწავლის წარმატებული შედეგის მისაღწევად ადამიანს უნდა შეეძლოს წინააღმდეგობების დაძლევა. ეს ნიშნავს ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღების, გადამუშავების და შეთვისების, ასევე სახელმძღვანელოების /თვითმასწავლებლების გამოყენების უნარს. დამოუკიდებლად სწავლის უნარი ადამიანს საშუალებას აძლევს ადრე მიღებულ განათლებაზე დაყრდნობით მუდმივად განიახლოს ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა გარემოში: სახლში, სამსახურში, განათლებისა და წვრთნის დროს. ინდივიდის მოტივაცია და საკუთარი შესაძლებლობების ცოდნა ამ კომპეტენციისათვის გადამწყვეტი ფაქტორებია.

კომპეტენციისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები

იმისათვის, რომ ინდივიდმა სწავლის საშუალებით სამსახურსა და კარიერაში მიაღწიოს განსაზღვრულ მიზნებს, მას უნდა **ჰქონდეს** საჭირო კომპეტენციები, ცოდნა, უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია. ყველა შემთხვევაში, დამოუკიდებლად სწავლის უნარი ინდივიდისაგან ითხოვს მის მიერ უპირატესად ჩათვლილი სწავლის სტრატეგის, საკუთარი უნარ-ჩვევების ძლიერი და სუსტი მხარეებისა და კვალიფიკაციის ცოდნას, რათა მან შეძლოს მოიძიოს სწავლისა და წვრთნის შესაძლებლობები და გამოიყენოს ამ მიმართულებით არსებული სახელმძღვანელოები /მითითებები.

დამოუკიდებლად სწავლის **უნარ-ჩვევები** პირველ რიგში ითხოვენ იმ ძირითადი საბაზისო უნარ-ჩვევების დაუფლებას, როგორიცაა: წერა-კითხვა, ანგარიში და საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები. სწორედ მათზე დაყრდნობით შეუძლია ინდივიდს მოიპოვოს, გადაამუშაოს და შეითვისოს ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

ეს ითხოვს საკუთარი სწავლის, კარიერის და სამსახურის ეფექტურ მენეჯმენტს, განსაკუთრებით კი სწავლის უნარის შენარჩუნებას, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე კონცენტრირებისა და სწავლის მიზანთან და დანიშნულებასთან კრიტიკულ მიდგომას. ინდივიდს უნდა შეეძლოს თვითდისციპლინით დაუთმოს დრო როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფში სწავლას; ასევე უნდა შეეძლოს დააფასოს ის

უპირატესობა, რაც არაერთგავროვან ჯგუფში სწავლას შეუძლია მოიტანოს ნასწავლი მასალის ურთიერთგაზიარების გზით. მას უნდა შეეძლოს შეაფასოს მის მიერ გაწეული შრომა და საჭიროებისამებრ ეძიოს რჩევა, ინფორმაცია და დახმარება.

პოზიტიური **დამოკიდებულება** მოიცავს მოტივაციასა და საკუთარი შესაძლებლობებით წარმატების მიღწევის რწმენას. პრობლემების გადაჭრისთვის მზადყოფნა ხელს უწყობს როგორც სწავლის პროცესს, ასევე ინდივიდის უნარს დაძლიოს წინააღმდეგობები და მზად იყოს ცვლილებებისათვის. ცხოვრების კონტექსტში ადრე მიღებული ცოდნისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გამრავალფეროვნებისაკენ მისწრაფება და განათლების ახალი შესაძლებლობების მიღების ცნობისწადილი ამ კომპეტენციისათვის აუცილებელი დადებითი დამოკიდებულების არსებითი ელემენტებია.

6. პიროვნებათაშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური კომპეტენციები და მოქალაქეობრივი კომპეტენცია

განმარტება: ეს კომპეტენციები მოიცავენ ქცევის ყველა იმ ფორმას, რომლებიც ინდივიდს უნდა ჰქონდეს სამსახურსა თუ საზოგადოებაში ეფექტური და კონსტრუქციული თანამონაწილეობისათვის, განსაკუთრებით მზარდი მრავალსახეობის საზოგადოებაში, რათა ჰქონდეს უნარი საჭიროებისამებრ გადაჭრას პრობლემები. მოქალაქეობრივი კომპეტენცია ინდივიდს აძლევს სამოქალაქო საზოგადოებაში სრული თანამონაწილეობის უნარს, რომელიც ეფუძნება სოციალური და პოლიტიკური კონცეფციებისა და სტრუქტურების ცოდნასა და აქტიური და დემოკრატიული თანამონაწილეობის ვალდებულებას.

კომპეტენციისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები

ა. პიროვნული და სოციალური წარმატებულობა ითხოვს იმის გაგებას თუ როგორ შეუძლია ინდივიდს ჰქონდეს ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის გარანტია, რომელიც მოიცავს პიროვნულ, ოჯახურ რესურსსა და ცოდნას თუ როგორი გავლენა აქვს ამაზე ჯანმრთელი ცხოვრების წესს. წარმატებული პიროვნებათაშორისი და სოციალური თანამომაწილეობისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების ცოდნა (მაგ.: სამსახურში), ასევე იმ საბაზისო კონცეფციების გააზრება, რომლებიც შეეხება ინდივიდებს, ჯგუფებს, სამსახურებრივ ორგანიზაციებს, სქესთა ბალანსს, საზოგადოებას და კულტურას. მნიშვნელოვანია ასევე ევროპული საზოგადოებების კულტურათაშორისი და სოციალურ-ეკონომიკური განზომილებების ცოდნა და ნაციონალური კულტურული იდენტურობის გაცნობიერება ევროპულ იდენტურობასთან ურთიერთქმედებისას.

სხვადასხვა გარემოში კონსტრუქციული კომუნიკაციის **უნარი**, განსხვავებული აზრის გამოხატვა და გაგება, მოლაპარაკებისას დარწმუნების მიღწევისა და თანაგრძნობის გამოწვევის უნარი - ამ კომპეტენციის ამოსავალი წერტილებია. ინდივიდს უნდა შეეძლოს დაძლიოს სტრესი და იმედგაცრუება და გამოხატოს ისინი კონსტრუქციულად, მას ასევე უნდა შეეძლოს პირადი და პროფესიული ცხოვრების ერთმანეთისაგან განცალკევება.

რაც შეეხება **დამოკიდებულებებს**, კომპეტენცია აქ ეფუძნება თანამშრომლობას, თავდაჯერებულობასა და პირდაპირობას. ინდივიდი დაინტერესებული უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, ინტერკულტურული კომუნიკაციით, აფასებდეს მრავალფეროვნებას, პატივს სცემდეს სხვებს და გამოხატავდეს მზადყოფნას სტერეოტიპების /ცრურწმენების დასაძლევად და კომპრომისზე წასასვლელად.

ბ. **მოქალაქეობრივი კომპეტენცია** ეფუძნება დემოკრატიის, მოქალაქეობისა და სამოქალაქო უფლებების კონცეფციების **ცოდნას**, ასევე იმას თუ როგორაა ისინი ჩაწერილი ევროკავშირის 'ძირითად უფლებათა ქარტიაში', საერთაშორისო დეკლარაციებში, რომლებიც მიღებულია მრავალი ადგილობრივი, რეგიონალური, ნაციონალური, ევროპული თუ საერთაშორისო ინსტიტუციის მიერ. მნიშვნელოვანია განმსაზღვრელი მოვლენების, ტენდენციების და ცვლილებების ფაქტორების ცოდნა ნაციონალური, ევროპისა და მსოფლიო ისტორიის და თანამედროვეობის - ევროპული მრავალფეროვნების - კუთხით, ასევე არსებითია სოციალური და პოლიტიკური მოძრაობების მიზნების, ფასეულობების და მიმართულებების ცოდნა.

უნარ-ჩვევები მოიცავს სხვადასხვა ინსტიტუტებთან ეფექტურ ურთიერთობას საზოგადოებრივ სფეროში, სოლიდარობისა და ინტერესის გამოჩენით ადგილობრივი და უფრო ფართო საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის საკითხებში. ის მოიცავს კრიტიკულ და შემოქმედებით აღქმას და კონსტრუქციულ თანამონაწილეობას საზოგადოებრივ / სამეზობლო საქმიანობაში, ისევე როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ნაციონალურ და ევროპულ დონეებზე, კერძოდ კი არჩევნებში ხმის მიცემას.

პოზიტიური **დამოკიდებულების** საფუძველს წარმოადგენს ადამიანის უფლებების სრული პატივისცემა, რომელიც მოიცავს თანასწორობას, როგორც დემოკრატიის, დაფასებისა და სხვადასხვა რელიგიების და ეთნიკური ჯგუფების ფასეულობათა სისტემების განსხვავებულობის გაგებას. ის გამოხატავს ასევე რეგიონის, ქვეყნის, ევროკავშირსა და ზოგადად ევროპისადმი, (მის წილ) სამყაროსადმი კუთვნილების გრძნობას და სურვილს იყოს მონაწილე ყველა დონეზე დამოკრატიული გადაწყვეტილებების მიღებისას. კონსტრუქციული თანამონაწილეობა ასევე მოიცავს მოქალაქეობრივ აქტიურობებს, სოციალური მრავალფეროვნებისა და ერთობის მხარდაჭერას, ასევე მდგრად განვითარებასა და მზადყოფნას პატივი სცეს სხვათა ფასეულობებს და პირად ცხოვრებას.

7. მეწარმეობა

განმარტება: მეწარმეობა ეს არის ინდივიდის უნარი იდეები აქციოს საქმედ. ის მოიცავს როგორც შემოქმედებითი მიდგომის, ინოვაციისა და რისკის უნარებს, ასევე დასახული მიზნის მისაღწევად დაგეგმვისა და პროექტების მართვის უნარს. ის ეხმარება ყველას ყოველდღიურ ცხოვრებაში ოჯახსა თუ საზოგადოებაში; მუშახელი კარგად იცნობს თავისი სამუშაოს კონტექსტს და აქვს უნარი გამოიყენოს მისთვის შეთავაზებული სიტუაცია; ეს წარმოადგენს უფრო მეტი სპეციფიური უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მისაღების საფუძველს, რათა დაკმაყოფილდეს სოციალური და კომერციული საქმიანობის წამომწყები მეწარმეების მოთხოვნები.

კომპეტენციისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები

აუცილებელი ცოდნა მოიცავს პირადი, პროფესიული და/ან ბიზნეს საქმიანობის ხელმისაწვდომ შესაძლებლობებს; ასევე ე.წ. 'bigger picture'' საკითხებს, ისინი გვთავაზობენ ისეთ კონტექსტს, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ და მუშაობენ, ესაა ეკონომიკისათვის გასაწევი სამუშაოების ფართო გაგება და იმ შესაძლებლობებისა და გამოწვევების დაფიქსირება, რომლებსაც დამსაქმებლები და ორგანიზაციები აწყდებიან. ინდივიდმა ასევე უნდა იცოდეს საწარმოს ე.წ. მორალური სახე და თუ როგორ შეიძლება მან შეიძინოს კარგი მაგალითის ძალა ორმხრივი მოგების ვაჭრობითა და სოციალური წარმოების საშუალებით.

უნარ-ჩვევები უკავშირდება: პროექტის პროაქტიულ მენეჯმენტს (მოიცავს რა დაგეგმვის, ორგანიზების, მართვის, ლიდერობისა და დელეგირების, ანალიზის, კომუნიკაციის, ინსტრუქტაჟის, ევალუაციისა და ჩაწერის უნარებს); როგორც გუნდური, ასევე ინდივიდუალური მუშაობის უნარს; ინდივიდის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას, ასევე სიტუაციის შეფასების შემდგომ რისკის გაწევის მიზანშეწონილობას.

მეწარმისათვის დამახასიათებელი **დამოკიდებულება** ხასიათდება ინიციატივის გამოჩენით, პროაქტიურობით, დამოუკიდებლობითა და ინოვაციებით, როგორც პირად და სოციალურ ცხოვრებაში, ასევე სამსახურში; ის ასევე მოიცავს მოტივაციას და გადაწყვეტილების მიღებას იმ ამოცანების გადასაჭრელად.

8. კულტურული გამომხატველობა

განმარტება: ეს არის იდეების, გამოცდილებებისა და სხვადასხვა მედიით ემოციების შემოქმედებითად გამოხატვის მნიშვნელობის დაფასება, რომელშიც ასევე იგულისხმება მუსიკა, ლიტერატურა, თეატრალური და გამომსახველობითი ხელოვნება.

კომპეტენციისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები

ის მოიცავს ძირითადი კულტურული ნამუშევრების საბაზისო ცოდნას, თანამედროვე პოპულარული კულტურის, როგორც კაცობრიობის ისტორიაში მნიშვნელოვანი მონაპოვრის ჩათვლით, ეროვნული და ევროპული კულტურული მემკვიდრეობისა და მისი მსოფლიო მნიშვნელობის კონტექსტში. არსებითია ევროპის (და ევროპული სახლემწიფოების) კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების გაგება, მისი დაცვის აუცილებლობა, ასევე ე.წ. სართო გემოვნების განვითარების და ყოველდღიურ ცხოვრებაში ესთეტური ფაქტორების მნიშვნელობის გაცნობიერება.

უნარ-ჩვევები მოიცავს როგორც დაფასების, ასევე გამოხატვის უნარს: მრავალფეროვანი მედია-საშუალებებით მხატვრულ თვითგამოხატვას - ინდივიდის თანდაყოლილი ნიჭიდან გამომდინარე და კულტურის მრავალფეროვან სპექტრში შექმნილი ხელოვნების ნიმუშებითა და წარმოდგენებით ტკბობასა და დაფასებას; აქვე უნდა აღინიშნოს საკუთარი შემოქმედებითი და გამომხატველობითი შეხედულებების სხვათა ხედვასთან დაკავშირების უნარი და შემოქმედებაში ეკონომიკური შესაძლებლობების ამოცნობა და გაანალიზება.

ინდივიდუალურობის ძლიერი შეგრძნება წარმოადგენს კულტურული გამომხატველობის მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის საფუძველს და მისადმი გახსნილობას. **პოზიტიური დამოკიდებულება** ასევე მოიცავს შემოქმედებით ნიჭს, მზადყოფნას ესთეტიური შესაძლებლობების მხატვრული თვითგამოხატვისაკენ და კულტურული ცხოვრებისადმი ინტერესს.

სამუშაო ჯგუფის (B) – 'საკვანძო კომპეტენციები' მიერ წარმოდგენილი

საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის

ევროპული ჩარჩო 2004 წლის ნოემბერი

საკონტაქტო მონაცემები: SÄÄVÄLÄ TAPIO,
ელ-ფოსტა: tapio.saavala@cec.eu.int
ტელეფონი: + 32 2 299 737

1. წინაპირობა

2000 წლის მარტში, ლისაბონში შეკრებილმა ევროპულმა საბჭომ ევროკავშირისათვის დასახა ახალი სტრატეგიული ამოცანა: შექმნილიყო 'მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანი და დინამიური, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, უფრო მეტი და გაუმჯობესებული სამუშაო ადგილების შექმნას და სოციალურ ურთიერთგათანაბრებას'. ამის მისაღწევად ევროპის განათლებისა და წვრთნის სისტემები უნდა მოერგონ განათლებული საზოგადოების მოთხოვნილებებსა და დასაქმების გაზრდილი დონისა და ხარისხის საჭიროებებს. ამ მიდგომის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ახალი საბაზისო უნარ-ჩვევების პროპაგანდა: უფრო კონკრეტულად, ლისაბონში შეკრებილმა ევროპულმა საბჭომ მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, საბჭოს და კომისიას ჩამოეყალიბებინათ ევროპული ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავდა **მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის** აუცილებელ 'ახალ საბაზისო უნარ-ჩვევებს' (the new basic skills). ამ ჩარჩომ უნდა მოიცვას *საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, ტექნოლოგიური კულტურა, უცხო ენები, მეწარმეობა და სოციალური უნარ–ჩვევები*[13].

ერთი წლის შემდგომ, სტოკჰოლმში შეკრებილმა ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა მოხსენება სათაურით 'განათლებისა და წვრთნის სისტემების კონკრეტული სამომავლო ამოცანები'[14]. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს სამ სტრატეგიულ ამოცანას (განათლებისა და წვრთნის სისტემების ხარისხი, ხელმისაწვდომობა და გახსნილობა), რომლებიც თავის მხრივ დაყოფილია 13 ქვეამოცანად. ამის შემდგომ 2002 წლის თებერვალში ბარსელონაში შეკრებილმა ევროპულმა საბჭომ შემდგომ ამ საერთო მიზნებისა და ამოცანების 2010 წლისთვის მისაღწევად დაამტკიცა დეტალური სამუშაო პროგრამა[15]. სამუშაო პროგრამამ საბაზისო უნარ-ჩვევების ჩამონათვალი შემდეგნაირად განავრცო: *წერა-კითხვა და ანგარიში (ძირითადი უნარ-ჩვევები)*, საბაზისო კომპეტენცია *მათემატიკაში, მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში, საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, დამოუკიდებლად სწავლის უნარი (learning to learn), სოციალური უნარ-ჩვევები, მეწარმეობა* და *ზოგადი კულტურა.*

ბარსელონის მოწვევის საბჭოს დასკვნებმა *საბაზისო უნარ-ჩვევების გაუმჯობესების* აუცილებლობას კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი. განსაკუთრებით კი ყურადღება გაამახვილეს ციფრულ წიგნიერებაზე და უცხო ენების ცოდნაზე. უფრო მეტიც, გადაწყდა, რომ აუცილებელია განათლებაში საერთო **ევროპული მიდგომის** დანერგვა და 2004 წლისთვის მისი მორგება მოზრდთა საბაზისო უნარ-ჩვევებზე.

დეტალური სამუშაო პროგრამის მიღების შედეგად, კომისიამ ჩამოაყალიბა ექსპერტთა სამუშაო ჯგუფები 13 სამიზნე სფეროში სამუშაოდ. ეს ჯგუფები დაკომპლექტებულია წევრი სახელმწიფოების, EFTA/EFA ქვეყნების, ასოცირებული წევრი ქვეყნებისა და ევროპული მასშტაბის ასოციაციების წარმომადგენელი ექსპერტებით. საკვანძო კომპეტენციებზე მომუშავე ჯგუფი 2001 წელს შეუდგა მუშაობას[16]. სამუშაო ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენდა *ახალი უნარ-ჩვევების* მოძიება და განსაზღვრა და ამ უნარ-ჩვევების *სასწავლო გეგმებში უკეთ ინტეგრირებაზე, შენარჩუნებასა თუ სიცოცხლის მანძილზე მათ შეძენის შესაძლებლობაზე* მსჯელობა. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ახალი უნარ-ჩვევების შედარებით ნაკლები შანსის მქონე ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომობაზე გამახვილდა, კერძოდ კი სპეციალური საჭიროებებისა და არასრული საშუალო განათლების მქონე პირებისა თუ სწავლის სურვილის მქონე ზრდასრულებისთვის.

თავის პირველ ანგარიშში სამუშაოს მსვლელობის შესახებ (2002 წლის თებერვალი), სამუშაო ჯგუფმა წარმოადგინა **ჩარჩო 8 საკვანძო კომპეტენციისათვის,** რომელშიც ჩამოაყალიბა თითოეული კომპეტენციის შესაბამისი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები. ბარსელონაში მოწვეულ ევროპის საბჭოზე შემოტანილი წინადადება განათლების სისტემაში საერთო **ევროპული მიდგომის** გაფართოების შესახებ,

[13] დასკვნები. ევროპული საბჭო, ლისაბონი, 23-24 მარტი 2000, პუნქტი 26.
[14] საბჭოს 2001 წლის 14 თებერვალის დოკუმენტი 5980/01.
[15] ევროპაში განათლებისა და წვრთნის სისტემების ამოცანების გადასაჭრელად შექმნილი დეტალური სამუშაო პროგრამა (2002/C 142/01)
[16] ენის შესწავლის სპეციფიკაზე სამუშაოდ შეიქმნა განსაკუთრებული სამუშაო ჯგუფი, დეტალური ინფორმაციისათვის იხ.: http://www.europa.eu.int/comm/education/policies/2010/objectives_en

ხელახლა გაჟღერდა 2004 წლის საბჭოსა და კომისიის საერთო შუალედურ მოხსენებაში სამუშაო პროგრამის[17] 'განათლება და წვრთნა 2010' მსვლელობის შესახებ. ამ წინადადების გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფმა გადასინჯა ჩარჩო, რათა საერთო ევროპული მიდგომის ელემენტები ჩაემატებინა საკვანძო კომპეტენციების შესაბამის პუნქტებში.

2004 წლის საერთო შუალედური ანგარიში აგრეთვე მოუწოდებს *ძირითადი ევროპული რეკომენდაციების და პრინციპების* მიღებისაკენ, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება ნაციონალურ პოლიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ ქმნიან ვალდებულებებს წევრი სახელმწიფოებისათვის, ისინი ხელს უწყობენ ორმხრივი ნდობის შექმნას ძირითად მოთამაშეებს შორის და ეხმარებიან რეფორმას მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინებით. ერთ-ერთი ასეთი რეკომენდაცია **საკვანძო კომპეტენციებისათვის** გვთავაზობს, რომ **ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ისინი, რადგან ამაზეა დამოკიდებული შემდგომი სწავლის წარმატებული შედეგი.**

2. ჩარჩოს განსაზღვრა და სტატუსი

2.1. „საბაზისო უნარ-ჩვევებიდან" „საკვანძო კომპეტენციებამდე" – სამუშაოს კონტექსტი

ლისაბონში შეკრებილი ევროპული საბჭოს დასკვნებმა და შემდგომ წარმოდგენილმა დეტალურმა სამუშაო გეგმამ გამოავლინეს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უზრუნველსაყოფად საჭირო საბაზისო უნარ-ჩვევების ჩარჩოს შექმნის აუცილებლობა. საბაზისო უნარ-ჩვევების განსაზღვრისათვის მანდატის მიცემისთანავე, საკვანძო კომპეტენციების შემუშავებისათვის ძირითადი სამუშაო სხვა საერთაშორისო გაერთიანებაში დაიწყო. OECD-ის პროექტი **კომპეტენციების არჩევა და განსაზღვრება** (DeSeCo)[18] გვიჩვენებს, თუ რა საკვანძო კომპეტენციებია საჭირო წარმატებული ცხოვრებისა და კარგად ფუნქციონირებადი საზოგადოებისათვის. ASEM[19]-ის ინიციატივამ ირჩია უფრო ფართოდ გამოეკვლია არსებითი კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ჭრილში. კომპეტენცია მოცემულ კონტექსტში ნიშნავს: 'ინდივიდის შესაძლებლობებსა და მის უფრო მაშტაბურ სოციალურ მიზნებს შორის ინტეგრაციის უმაღლესი ხარისხის მიღწევას'.

სავალდებულო განათლების კურიკულუმისთვის ანგარიშის გაწევით, **ევრიდაისის კვლევამ**[20] გამოავლინა გაზრდილი ინტერესი საკვანძო კომპეტენციებისადმი, რომლებიც არსებითია საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრაციისათვის. ბევრი ეს კომპეტენცია განისაზღვრება, როგორც **საერთო** ან **გადამკვეთი** კომპეტენციები, რომლებიც საგნისაგან დამოუკიდებელად არსებობენ და ეფუძნებიან **კურიკულარულ-გადამკვეთ მიზნებს.** ისინი ხშირადაა დაკავშირებული თვითსწავლების გაუმჯობესებულ მენეჯმენტთან, სოციალურ და ადამიანებს შორის ურთიერთობებთან, აგრეთვე კომუნიკაციასთან და აისახება ზოგადად სწავლებიდან სწავლაზე ყურადღების გადატანის პროცესზე.

პიზის 2000 წლის საერთაშორისო კვლევამ[21] ხაზი გაუსვა აგრეთვე წარმატებული სწავლისთვის აუცილებელი უფრო ფართო კომპეტენციების შეძენის მნიშვნელობას. წერა-კითხვისა და არითმეტიკის საფუძვლების გარდა, ამ კვლევამ აგრეთვე გამოავლინა ზოგიერთი საერთო კომპეტენცია, როგორებიცაა: სწავლის მსურველის მოტივაცია, დამოკიდებულება და უნარი საკუთარი სწავლის რეგულაციისა.

საკითხის მსგავსმა განვითარებამ არა მარტო ისეთი კითხვის პასუხის გაცემის წინაშე დაგვაყენა, თუ **რა** არის ის აუცილებელი კომპეტენციები, რომლებიც განათლებული საზოგადოებისათვისაა საჭირო, არამედ თუ **რისგან შედგებიან ეს კომპეტენციები**. უფრო მეტიც, ლისაბონში მოწვეული საბჭოს მოთხოვნით, ჩარჩო ამ კომპეტენციებისათვის უნდა განვიხილოთ **მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პერსპექტივიდან,** ე.ი. ცოდნა შეძენილი სავალდებულო სასკოლო განათლებით, გამდიდრებული, განახლებული და შენარჩუნებული სკოლის შემდგომ ცხოვრებაში. საბოლოოდ ისმის შეკითხვა, შესაძლებელია თუ არა ჩაითვალოს გარკვეული კომპეტენციის **ოსტატობის დონე** 'საბაზისოდ'.

ამ გამოწვევებისა და მოცემულ სფეროში საერთაშორისო განვითარებების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფმა[22] განსაზღვრა **საკვანძო კომპეტენციების 10 დომენისაგან შემდგარი ჩარჩო**, რომელიც მიიჩნევა

---

[17] 'განათლება და წვრთნა 2010 სამუშაო პროგრამა' აერთიანებს ყველა საქმიანობას განათლებისა და წვრთნის სფეროში ევროპულ დონეზე, პროფესიული განათლებისა და წვრთნის ჩათვლით ('კოპენჰაგენის პროცესი'). ის აგრეთვე ითვალისწინებს ბოლონიის პროცესს ევროპის უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებისათვის. შუალედური ანგარიში ამ პროცესზე, 'განათლება და წვრთნა 2010', ლისაბონის სტრატეგიული ბერკეტების წარმატება სასწრაფო რეფორმებზე, იხ.: http://europa.eu.int/comm/education/policies/2010/et 2010 en.html.

[18] OECD-ის კომპეტენციების არჩევა და განსაზღვრებები: თეორიული და კონცეპტუალური საფუძვლები (eSeCo)-ს პროექტი და ASE -ის ინიციატივა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის.

[19] ევრო-აზიური შეხვედრა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ინიციატივისათვის. დეტალებისათვის ეწვიეთ: http://www.asia-europe-institute.org/ASEM-LifeLong-Learning/lllcontent.htm

[20] საკვანძო კომპეტენციები. კვლევა 5. ევრიდაისი (Eurydice) 2002

[21] OECD. ცოდნა და უნარ-ჩვევები ცხოვრებისათვის. პირველი შედეგები პიზა 2000. პარიზი: OECD, 200ld.

[22] ბ ჯგუფის სამუშაოს მსვლელობის ანგარიში საბაზისო უნარ-ჩვევებზე, უცხო ენების სწავლებასა და მეწარმეობაზე, 2003 წლის ნოემბერი. შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე:

აუცილებლად მთელი განათლებული საზოგადოებისათვის. ამ საკითხზე მოცემული უამრავი ასპექტის შესაბამისად, აუცილებელია ზოგადად მოვხაზოთ ზოგიერთი **პრინციპი** ჩარჩოს განსაზღვრისათვის და ასევე მიმოვიხილოთ ამ პროცესისას წამოჭრილი გამოწვევები.

2.2. პრინციპები, რომლებიც ხაზს უსვამენ საკვანძო კომპეტენციებისათვის ჩარჩო-მონახაზის განსაზღვრას

i. ჩარჩო ესაა ევროპული დონის პირველი მცდელობა მოგვაწოდოს გასაგები და კარგად დაბალანსებული სია **საკვანძო კომპეტენციებისა, რომლებიც საჭიროა პიროვნული მიღწევებისათვის, სოციალური ინტეგრაციისა და დასაქმებისათვის განათლებულ საზოგადოებაში.** ამ კომპეტენციების ჩარჩო უნდა იქცეს **'სარეკომენდაციო საშუალებად'** პოლიტიკის შემქნელთათვის და აგრეთვე სასწავლო პერსპექტივების შექმნაზე პასუხისმგებელ პირთათვის, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ადამიანთა განათლება მათი განვითარების ნებისმიერ საფეხურზე, ნებისმიერ ასაკში და არსებული ჩარჩო მოარგონ სწავლის მსურველთა მოთხოვნებსა და სწავლის კონტექსტს.

ii. ტერმინები **'კომპეტენცია' და 'საკვანძო კომპეტენცია'** ამჯობინეს ტერმინს 'საბაზისო უნარ-ჩვევები', რომელიც ჩაითვალა, რომ შეზღუდული მნიშვნელობის მატარებელია და ხშირად გამოიყენება წერა-კითხვისა და ანგარიშის ცოდნასთან მიმართებაში და ცნობილია, როგორც 'გადამრჩენი' და 'სასიცოცხლო' უნარები. 'კომპეტენცია' კი განიხილება, როგორც **უნარ-ჩვევების, მიდრეკილებებისა და დამოკიდებულებების კომბინაცია,** ამასთან ერთად მას, ვინც სწავლობს, უნდა ჰქონდეს სწავლისადმი მიდრეკილება და იცოდეს, თუ როგორ მოიპოვოს ცოდნა. 'საკვანძო კომპეტენცია' მნიშვნელოვანია ცხოვრების სამი ასპექტისათვის:

ა. პიროვნული მიღწევები და განვითარება მთელი სიცოცხლის მანძილზე (კულტურული კაპიტალი): საკვანძო კომპეტენციები უნდა დაეხმარონ ადამიანს პირადი მიზნების განხორციელებაში, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის გაგრძელების ინტერესის, მიდრეკილებების და სურვილიდან გამომდინარე;

ბ. აქტიური მოქალაქეობა და ჩართულობა (სოციალური კაპიტალი): საკვანძო კოპეტენციები უნდა დაეხმარონ ყველას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში;

გ. დასაქმების უნარიანობა (ადამიანური კაპიტალი): თითოეული ადამიანის უნარი შესაფერისი სამსახურის მონახვისა სამუშაო ბაზარზე.

iii. მოდით, სახელობით განვსაზღვროთ საკვანძო კომპეტენციები უფრო ფართო გაგებით. შეუძლებელია და ამავე დროს არაარსებითიც, პუნქტების უმრავლესობაში კომპეტენციების ოსტატობის ყველაზე ***'საბაზისო დონესა'*** და ოსტატობის უფრო წინწასულ დონეებს შორის განსხვავებების დადგენა. ტერმინი 'საბაზისო' პასუხობს მოცემული სიტუაციისა და მდგომარეობის მოთხოვნებს: ერთი რომელიმე უნარ-ჩვევის დაუფლება, რომელიც აუცილებელია ერთ კონკრეტულ სიტუაციაში პრობლემის მოგვარებისათვის, შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს სხვა სიტუაციაში. მუდმივად ცვალებად საზოგადოებაში, პიროვნების წინაშე მდგარი მოთხოვნები იცვლება ერთი სიტუაციიდან მეორეში და დროსთან ერთად. შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარკვეული ამოცანის ასრულებისათვის საჭირო სპეციალური საბაზისო უნარ-ჩვევების გარდა, დამატებით საჭიროა ***უფრო მოქნილი, საერთო და გადაცემადი კომპეტენციები,*** რათა ინდივიდი აღიჭურვოს უნარ-ჩვევების, ცოდნისა და დამოკიდებულებების იმ კომბინაციით, რაც შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციებს. შესაბამისად, ბევრი განსაზღვრა, უფრო მეტად აღწერს ***კომპეტენციის შემადგენელ არსებით ელემენტებს, რომლებიც გადამწყვეტია, რადგანაც კომპეტენციები ვითარდება ოსტატობის საბაზისო დონიდან, უფრო განვითარებული დონეებისაკენ.*** მსგავსი განსაზღვრებიდან გამომდინარე, კომპეტენციის ოსტატობის შესაბამის დონეზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ არსებული ***კონტექსტუალური ფაქტორების*** გათვალისწინებით[23].

iv. ამასთანავე, ***უმეტესობა ამ კომპეტენციის ოსტატობის საზომი*** კრიტერიუმები ძალზედ შეზღუდულია. არსებული საზომი ერთეულები, რომლებსაც გვთავაზობენ PIZA და IALS, მხოლოდ და მხოლოდ გვიჩვენებენ ოსტატობის დონეს წერა-კითხვასა და ანგარიშთან მიმართებაში. ევროპული საბჭოს მიერ შემუშავებული ზოგადი ევროპული ჩარჩო-რეკომენდაციები ენებისათვის (CEF) აღწერს ოსტატობის დონეებს უცხო ენებში და აგრეთვე ჩატარდა კვლევა იმ კომპეტენციის საზომი კრიტერიუმების განსასაზღვრად, როგორიცაა 'დამოუკიდებლად სწავლის უანრი' (learning-to-learn), ანუ 'იცოდე თუ როგორ ისწავლო'. დამატებით, აგრეთვე არსებობს უამრავი ნაციონალური საზომი ერთეული საბაზისო უნარ-ჩვევების ოსტატობის შესაბამისი დონის განსასაზღვრად, რაც ეხმარება პოლიტიკის შექმნის მართვის პროცესს სხვადასხვა საფეხურზე. ***მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ რამოდენიმე კომპეტენციის საზომი კრიტერიუმების განსაზღვრაა შესაძლებელი, ჩარჩო საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ისინი მნიშვნელოვანი საერთო და***

---

http://www.europa.eu.int/comm/education/policies/2010/objectives_en.html#basic

11 ამის კარგი მაგალითია 'ციფრული წიგნიერების' კომპეტენცია. მხოლოდ რამოდენიმე სიტუაციაშია ICT საკმარისი: უმეტეს სიტუაციებში კი ICT-ის ეფექტური გამოყენება მოითხოვს კრიტიკული აზროვნების შესაბამის დონეს და მედიის უფრო ფართო გაგებას.

გადამკვეთი კომპეტენციების ჭრილში, რომელთა საზომი კრიტერიუმების განსაზღვრა თავისთავად უფრო რთულია.

2.3. სხვა შენიშვნები

ცხადია, რომ არსებობს გარკვეული ***შეხების წერტილები რვა დომენს შორის***[24]***,*** ისევე, როგორც ***განათლების უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების*** ზოგიერთ პუნქტებს შორის. მაშასადამე, თითოეული კომპეტენცია უნდა განვიხილოთ, როგორც ზემოთ მოცემული ***სამი ელემენტის კომბინაცია*** – რომელთა ოსტატობის დონე იცვლება კონტექსტუალური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.

ამასთანავე, მაგალითად, დებულებაში პიროვნებათშორის და სოციალურ კომპეტენციაზე, ისეთი ტერმინები, როგორიცაა 'სოლიდარობა', 'კომპრომისი' და 'შემწყნარებლობა' იძენენ ***განსხვავებულ დამატებით მნიშვნელობებს*** სხვადასხვა ენობრივ და სოციალურ გარემოში და მართლაც, მაშინ, როცა 'კომპრომისზე წასვლა' ზოგიერთ ქვეყანაში პოზიტიური მნიშვნელობის მატარებელია, იგივე ტერმინს სხვა ქვეყანაში შეიძლება ნეგატიური დატვირთვა ჰქონდეს. იგივე შეიძლება ითქვას 'შემწყნარებლობაზეც': ვიღაცამ შეიძლება სამართლიანად იკითხოს, თუ სად არის დადგენილი საზღვარი შემწყნარებლობისთვის.

არსებული ტერმინოლოგიური და ლინგვისტური სირთულეებით ნათელი ხდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩარჩოში მიმოხილულია საჭირო კომპეტენციები, აუცილებელია მათი მორგება შესაბამის კულტურულ, ლინგვისტურ და სოციალურ გარემოებებთან. რაც შეეხება ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევას, როგორიცაა *ენის კომპეტენცია*, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტერმინი **'მშობლიური ენა'** არაორაზროვანია, მიუხედავად ადრეული ორენოვნების ხშირი შემთხვევებისა მრავალენოვან ოჯახებში. ცნება მშობლიური ენა მაინც მისაღებია ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში და შესაბამისად აღნიშნავს იმ ენას, რომელსაც პიროვნება გამოიყენებს ადრეული ასაკიდან და რომელიც ჩვეულებრივ ხდება ბუნებრივი საშუალება აზროვნებისა და კომუნიკაციისათვის. ამასთანავე, მიუხედავად მშობლიური და უცხო ენების დაუფლების მეთოდის მსგავსებისა, ისინი ამ კომპეტენციებში წარმოდგენილი არიან ცალ-ცალკე პუნქტებად და ასახავენ ამ ორი ცნების განსხვავებას საბაზისო საგანმათლებლო კურიკულუმში.

3. საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის – ევროპული ჩარჩო

3.1. საკვანძო კომპეტენცია

თანახმად სამუშაო ჯგუფის მრავალმხრივი მიდგომისა საკვანძო კომპეტენციებისადმი, **'საკვანძო კომპეტენციების'** ზოგადი განმარტება შემდეგნაირია:

> ***საკვანძო კომპეტენციები წარმოადგენს ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებებისაგან შემდგარ აუცილებელ გადაცემად მრავალფუნქციონალურ პაკეტს ყველა ინდივიდის პიროვნული მიღწევებისა და განვითარებისათვის, ისევე როგორც სოციალური ჩართულობისა და დასაქმებისათვის. ეს კომპეტენციები უნდა განვითარდეს სავალდებულო სასკოლო განათლების ან წვრთნის მიღების შემდგომ და, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ნაწილი, უნდა იქცეს შემდგომი განათლების ფუნდამენტად.***

ეს განმარტება ხაზს უსვამს, რომ კომპეტენცია უნდა იყოს **გადაცემადი** და მაშასადამე, შესაძლოა მოერგოს ბევრ სიტუაციასა და კონტექსტს. ის ასევე უნდა იყოს **მრავალფუნქციური,** სხვადასხვა მიზნების მისაღწევად, სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტად და მრავალი ამოცანის შესასრულებლად. საკვანძო კომპეტენციები **აუცილებელი წინაპირობაა** შესაბამისი მიღწევებისათვის ცხოვრებაში, სამსახურსა და შემდგომ განათლებაში.

სასურველია, საკვანძო კომპეტენციების ჩარჩოს მივუდგეთ განათლებისა და წვრთნის ფართე კონტექსტით მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის, ნაციონალური განათლებისა და წვრთნის სისტემების შესაბამისად.

ა. ზოგადმა სავალდებულო განათლებამ, რომელსაც ახასიათებს პრიორიტეტების მუდმივი ცვალებადობა – 'რეგლამენტირებული' ან 'განმარტებული' სისტემიდან გეზი აიღო 'უდირექტივო' განათლების მიმართულებით, ანუ წარმოადგინა ტაქტიკა 'დანერგილი სწავლის მსურველის პირად და სოციალურ კომპეტენციებზე'.

12 მაგ.: საკვანძო კომპეტენცია მეწარმეობის შესახებ (ფართო განსაზღვრით) ემთხვევა პიროვნებათშორის და მოქალაქეობრივ კომპეტენციებს, ისევე, როგორც კომპეტენციას დამოუკიდებლად სწავლის უნარის შესახებ. იმავე ნიშნით შეგვიძლია დავაკავშიროთ ძლიერი პიროვნებათშორისი განზომილება, კომუნიკაციასთან მშობლიურსა და უცხო ენებში.

ბ. ზრდასრულთა განათლება და წვრთნა – 'მაკომპენსირებელი'[25] განათლებიდან (რომელიც მოიცავს 'საბაზისო უნარ-ჩვევებს' წერა-კითხვასა და ანგარიშში) – შემდგომი და უმაღლესი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისაკენ.

გ. სპეციალური განათლების უზრუნველყოფა გარკვეული ჯგუფებისათვის, რომლებიც დგანან საზოგადოებრივი კონტექსტიდან ამოვარდნის რისკის წინაშე – მაგ.: ემიგრანტები, ეთნიკური უმცირესობები, ახალგაზრდები და ზრდასრულები დაწყებითი განათლების დაბალი დონით, შორეულ ან იზოლირებულ ადგილებში ცხოვრების მიზეზით და ა.შ.

დ. განსაკუთრებული საგანმანათლებლო მოთხოვნილების ბავშვების განათლებით უზრუნველყოფა – რადგანაც ცნობილია, რომ ყველა განსაკუთრებული საგანმანათლებლო მოთხოვნილებების მქონე მოსწავლეს როდი შეუძლია მოიპოვოს ამ კომპეტენციების შესაბამისი ცოდნა. ამიტომაც მათ ეძლევათ შესაძლებლობა გამოამჟღავნონ სრული პოტენციალი და მიაღწიონ ისეთ სასწავლო მიზნებს, რომლებიც ახლოსაა ზემოთ, მეორე სექციაში მოხაზულ საკვანძო კომპეტენციებთან.
ეს ნიშნავს, რომ განსაკუთრებული მოთხოვნილებების მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება მიიღონ საჭიროებისამებრ დიფერენცირებული განათლება - ინდივიდზე მორგებული სასწავლო პროგრამით, რომლებიც დაფუძნებული იქნება კომპეტენციების ჩარჩოზე.

3.2. საკვანძო კომპეტენციების რვა დომენი

ცხრილი 1 მიმოიხილავს ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ყველასათვის აუცილებლად მიჩნეულ საკვანძო კომპეტენციებს. ამ მიმოხილვას მოყვება განმარტებების უფრო დეტალური აღწერა (ცხრილი 2) და რვიდან თითოეული დომენისათვის შესაბამისი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები.

ცხრილი 1. საკვანძო კომპეტენციების მიმოხილვა

კომპეტენცია	განმარტება
მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია	კომუნიკაცია ეს არის ფიქრების, გრძნობების და ფაქტების ზეპირი და წერილობითი ფორმით გამოხატვა (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა) და ურთიერთობა ლინგვისტიკურად სოციალური და კულტურული კონტექსტების სრული დიაპაზონის შესაბამისი ფორმით – განათლება და წვრთნა, სამსახური, სახლი და თავისუფალი დრო.
უცხო ენაზე კომუნიკაცია	უცხო ენაზე კომუნიკაციისთვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევების განზომილებები თითქმის ემთხვევა მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის კრიტერიუმებს: ის ეფუძნება ფიქრების, გრძნობების და ფაქტების გაგების, გამოხატვისა და ინტერპრეტირების უნარს, როგორც ზეპირი, ასევე წერითი ფორმით (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა) საზოგადოებრივ კონტექსტში შესაბამისი დიაპაზონით – სამსახური, სახლი, გართობა, განათლება და წვრთნა – პიროვნების მოთხოვნილებებისა და სურვილებიდან გამომდინარე. უცხო ენაზე კომუნიკაცია ასევე მოითხოვს ისეთი უნარების ქონას, როგორიცაა შუამავლობა და კულტურათაშორისი გაგება. უნარიანობის ხარისხი იმერყევებს ოთხ განზომილებას შორის, სხვადასხვა ენების მიხედვით და ინდივიდის ლინგვისტური და კულტურულ-ეროვნული მემკვიდრეობის გათვალისწინებით[26].
მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო კომპეტენციები	მათემატიკური უნარ-ჩვევები არის შესაძლებლობა გამოიყენო შეკრება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა და შეფარდება გონებაში და წერითი ანგარიშისას ყოველდღიური პრობლემების გადასაჭრელად. ხაზი ესმება

[25] ეს არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება კომუნიკაცია კომისიიდან-ში (Communication from the Commission), შევქმნათ რეალობა, ევროპული სივრცე მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის (Making a European Area of Lifelong Learning a Reality), COM (2001) 678 ბოლო ვერსია (გვ. 22), განეკუთვნება ფრაზას 'მიწოდება იმ ცოდნისა, რომელიც უნდა მოპოვებულიყო სავალდებულო სასკოლო განათლების მიღებისას'.

[26] ევროკავშირი გარკვეული ხანია, ევროპული საბჭოს მიერ განვითარებულ დოკუმენტს: 'ზოგადი ევროპული ჩარჩო-რეკომენდაცია ენებისათვის' (CEF), იყენებს სარეკომენდაციო საშუალებად. CEF ძირითადად ენის მომხმარებლებსა და შემსწავლელებს განიხილავს, როგორც 'სოციალურ აგენტებს', რომელთაც უნდა გადაჭრან ამოცანა გარკვეულ გარემოებებში, მდგომარეობასა და მოქმედების ასპარეზზე. უცხო ენის სწავლა და გამოყენება ემყარება ინდივიდის ზოგად და საკომუნიკაციო ენის კომპეტენციებს და საშუალებას აძლევს განავითარონ მრავალენოვანი, მრავალკულტურული კომპეტენციები. CEF-ის მიდგომა ამგვარად ძალზედ შეესაბამება WGB-ის მიდგომას 'საკვანძო კომპეტენციებისდმი'. CEF-ზე მეტი ინფორმაციის მისაღებად იხ.: http://www.culture2.coe.int/portfolio/documents_intro/common_framework.html. უფრო დაწვრილებითი ანალიზისა და სპეციფიური რეკომენდაციებისათვის უცხო ენის შესწავლის გაუმჯობესებაზე, იხ.: ენების სამუშაო ჯგუფის 'ანგარიში სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ': http://europa.eu.int/comm/education/policies/2010/objectives_en.html#language.

მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში	თავად პროცესს და არა შედეგს, თავად მოქმედებას და არა ცოდნას. მეცნიერული უნარ-ჩვევები გულისხმობს ინდივიდის მზადყოფნას და უნარს ახსნას ბუნებრივი სამყარო არსებული ცოდნისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით. კომპეტენცია ტექნოლოგიაში განიხილება, როგორც ცოდნისა და მეთოდოლოგიის გაგება და გამოყენება, ბუნებრივი გარემოს გასაგები ადამიანური მოთხოვნილებებისა და სურვილების შესაბამისად მოდიფიცირების მიზნით.
ციფრული კომპეტენცია	ციფრული კომპეტენცია ითვალისწინებს ელექტრონული მედიის თავდაჯერებულ და კრიტიკულ გამოყენებას სამუშაოსთვის, გართობისა და კომუნიკაციისთვის. ეს კომპეტენცია მოითხოვს ლოგიკურ და კრიტიკულ აზროვნებას, ინფორმაციის მენეჯმენტის მაღალი ხარისხის უნარს, და კარგად განვითარებულ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს. ყველაზე ძირეულ საფეხურზე, საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები მოიცავს მულტიმედია ტექნოლოგიის გამოყენებას ინფორმაციის მიღების, შეფასების, შენახვის, წარმოების, წარმოდგენისა და გაცვლისთვის, აგრეთვე ინტერნეტის ქსელში ჩართვისა და კომუნიკაციის უნარს.
დამოუკიდებლად სწავლის უნარი (learning-to-learn)	დამოუკიდებლად სწავლის უნარი ნიშნავს, რომ ადამიანს აქვს განწყობა და უნარი საკუთარი სწავლის ორგანიზებისა და რეგულირებისა, როგორც ჯგუფში, ასევე დამოუკიდებლადაც. ეს უნარი გულისხმობს საკუთარი დროის ეფექტურად მართვას, პრობლემების გადაწყვეტას, ახალი ცოდნის შეძენას, დამუშავებას, შეფასებას და გამოყენებას სხვადასხვა კონტექსტში – სახლში, სამსახურში, განათლებასა თუ წვრთნაში. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, ის ნიშნავს საკუთარი კარიერის წარმართვის უნარს.
პიროვნებათშორისი და მოქალაქეობრივი კომპეტენციები	პიროვნებათშორისი კომპეტენიციები თავის თავში მოიცავენ ყველა იმ თვისების კომბინაციას, რომელიც აუცილებელია ადამიანისთვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტიანად და კონსტრუქციულად ჩასართავად, ისევე, როგორც საჭიროების შემთხვევაში, კონფლიქტის მოგვარების უნარს. პიროვნებათშორისი კომპეტეციები აუცილებელია ორ ადამიანს შორის ურთიერთობისას, ისევე, როგორც ჯგუფებში ურთიერთობის დასამყარებლად და გამოიყენება საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.
მეწარმეობა	მეწარმეობა შედგება აქტიური და პასიური კომპონენტებისაგან: ის მოიცავს მიდრეკილებას, თავად აწარმოო რაღაც ახალი და ამავდროულად უნარს, მიიღო, მხარი დაუჭირო და მოირგო სხვის მიერ წარმოებული ან დანერგილი რაიმე სიახლე. მეწარმეობა ნიშნავს პასუხისმგებლობის აღებას დადებითსა თუ უარყოფით მოქმედებაზე, სტრატეგიული ხედვის განვითარებას, მიზნების დასახვას, მათ განხორციელებას და ასევე წარმატებაზე ორინტირების უნარს.
კულტურული გამომხატველობა	ტერმინი ‘კულტურული გამომხატველობა’ მიესადაგება ადამიანის უნარს დააფასოს იდეების, გამოცდილებებისა და ემოციების შემოქმედებითი გამოხატვის მნიშვნელობა სხვადასხვა მედია საშუალებებით, მუსიკის, ლიტერატურის და პლასტიკური ხელოვნების ჩათვლით.

ცხრილი 2. საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო. საკვანძო კომპეტენციების დომენების განმარტება და თითოეულ დომენთან მიმართებაში ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების აღწერა.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
1. მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია	კომუნიკაცია ფიქრების, გრძნობების და ფაქტების გამოხატვისა და ინტერპრეტირების უნარია, როგორც ზეპირმეტყველებაში, ასევე წერილობით მრავალმხრივ სოციალურ და კულტურულ კონტექსტში – სამსახურში, სახლში და თავისუფალი დროის გატარებისას.	• ძირითადი ლექსიკის, სტილისა და პრაქტიკული გრამატიკის, ასევე ენის ფუნქციების ჯანსაღი ცოდნა. • სალაპარაკო ენაში ვერბალური ურთიერთობის სხვადასხვა ფორმების (დიალოგების, ინტერვიუების, დებატების და ა.შ.) და სხვადასხვა სტილისა და რეგისტრის მახასიათებელი ნიშნების ცოდნა. • კომუნიკაციის პარალინგვისტური ფუნქციების გაგება (ხმის მახასიათებელი თვისებების, სახის მიმიკის, პოზისა და ჟესტიკულაციის სისტემები) • სხვადასხვა ტიპის ლიტერატურული ტექსტის გაგება (ზღაპრის, ლეგენდის, პოემის, ლექსის, მოთხრობის, რომანის) და მათი ძირითადი თვისებების, ისევე როგორც არალიტერატურული ტექსტის ტიპების (CV, ანკეტა, მოხსენება, ესსე და ა.შ.) და მათი ძირითადი მახასიათებელი ნიშნების გარჩევა. • წერილობითი ენის ძირითადი მახასიათებელი ნიშნების გარჩევა (ფორმალური, არაფორმალური, სამეცნიერო, ჟურნალისტური და ა.შ.) • იმის გაცნობიერება, რომ დროის, გეოგრაფიული, საკომუნიკაციო და სოციალური გარემოს შეცვლასთან ერთად იცვლება ენისა და კომუნიკაციის ფორმები.	• კომუნიკაციის უნარი ზეპირი და წერილობითი ფორმით, გაგება და გაგებინება, გარჩევა სხვადასხვა სიტუაციებში, სხვადასხვა მიზნებისთვის წერითი თუ ზეპირი ფორმის მესიჯებისა და საკუთარი აზრების ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბება. აგრეთვე უნარი წამოიწყო, ისაუბრო და დაასრულო დიალოგი სხვადასხვა საკომუნიკაციო კონტექსტში. • განსხვავებული ტექსტების კითხვისა და გაგების უნარი. სხვადასხვა მიზნებისთვის კითხვისას გამომუშავებული სტრატეგიის ქონა (ინფორმაციისთვის ან სიამოვნებისათვის კითხვა). • განსხვავებული მიზნებისთვის საჭირო ტექსტების დაბეჭდვის და წერის პროცესის მონიტორინგის უნარი (მონახაზიდან საბოლოო ვარიანტამდე). • წერილობითი ინფორმაციის, მონაცემებისა და კონცეფციის მოძიების, მოპოვებისა და გადამუშავების უნარი, მათი სწავლისას გამოყენება, ცოდნის სისტემაში მოყვანის მიზნით. კითხვის, წერის, ლაპარაკის და მოსმენისას მნიშვნელოვანი ინფორმაციის უმნიშვნელოსაგან გარჩევის უნარი. • ლაპარაკსა თუ წერაში, საკუთარი არგუმენტების დამაჯერებლად ფორმულირების და სხვათა აზრების მოსმენისა და გაგების უნარი. • დამხმარე საშუალებების გამოყენების ცოდნა (როგორიცაა რუქები, სქემები, შენიშვნები) და ასევე უნარი შექმნა, წარმოადგინო ან გაიგო რთული ტექსტები ზეპირ თუ წერილობით ფორმაში. (მოხსენებები, დიალოგები, ინსტრუქციები, ინტერვიუები, დებატები).	• <u>მშობლიური ენისადმი პოზიტიური დამოკიდებულების</u> განვითარება და იმის გაცნობიერება, რომ ეს ინდივიდის პიროვნული და კულტურული განვითარების პოტენციური წყაროა. • მზადყოფნა სხვათა აზრებისა და არგუმენტების მოსმენისა და <u>კონსტრუქციული და კრიტიკული დიალოგის</u> წარმართვა. • საჯარო გამოსვლებისას საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება. • სიტყვების და ფრაზების სწორი ტექნიკური მნიშვნელობით გამოყენების გარდა, მათთვის <u>ესთეტიური ფასეულობის</u> მინიჭებისაკენ სწრაფვა. • <u>ლიტერატურის სიყვარულის</u> განვითარება. • <u>კულტურათაშორის ურთიერთობისადმი</u> პოზიტიური დამოკიდებულების გამომუშავება.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
2. უცხო ენაზე კომუნიკაცია	უცხო ენაზე კომუნიკაცია წარმოადგენს ფიქრების, გრძნობების და ფაქტების გაგების, გამოხატვის და ინტერპრეტირების უნარს, როგორც ზეპირი, ასევე წერითი ფორმით შესაბამის სოციალურ კონტექსტებში – სამსახურში, სახლში, თავისუფალი დროის გატარებისას, სწავლისა და წვრთნის დროს – არამშობლიური ენის შესწავლისას ან სკოლაში სავალდებულო უცხო ენის დაუფლებისას, ინდივიდის სურვილებისა და მოთხოვნილებებიდან გამომდინარე[27].	• ლექსიკის, პრაქტიკული გრამატიკის, ინტონაციის და გამოთქმის ჯანსაღი ცოდნა. • ვერბალური ურთიერთობის სხვადასხვა ტიპების გარჩევა (მაგ.: პირისპირ, ტელეფონით, ინტერვიუს სახით და ა.შ.) • სხვადასხვა ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტების გაგება (მაგ.: პოემები, მოთხრობები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებიდან, ვებ-გვერდები, ინსტრუქციები, წერილები, მოკლე მოხსენებები და ა.შ.). • სალაპარაკო და წერით ენაში სხვადასხვა სტილისა და რეგისტრის მთავარი მახასიათებებლის გარჩევა (ფორმალური, არაფორმალური, ჟურნალისტური, სასაუბრო და ა.შ.) • კულტურული და საზოგადოებრივი ჩვევებისა და ასპექტების გაცნობიერება და აგრეთვე იმის ცოდნა, თუ როგორ იცვლება საკომუნიკაციო ენა სხვადასხვა გეოგრაფიულ და სოციალურ გარემოში.	• სასაუბრო მესიჯების მოსმენისა და გაგების უნარი მრავალმხრივ საკომუნიკაციო სიტუაციებში (ყოველდღიურ ინტერესებთან შესაბამისი და მახლობელი თემები). • ყოველდღიურ ინტერესებთან შესაბამის და მახლობელ თემებზე დიალოგის წამოწყება, წარმართვა და დასრულება. • არასპეციალიზებული, სხვადასხვა თემაზე დაწერილი ტექსტების წაკითხვა და გაგება, ან ზოგიერთ შემთხვევაში მონათესავე დარგში სპეციალიზირებული ტექსტისაც. სხვადასხვა სიტუაციებისთვის ტექსტების დაწერის უნარი. • დამხმარე ტექსტების გაგების უნარი (მაგ.: დიალოგები, ინსტრუქციები, ინტერვიუები, საჯარო გამოსვლები). • ენის დამოუკიდებლად შესწავლისა და დახვეწის უნარი.	• ერების კულტურული მახასიათებლემისადმი სათუთი დამოკიდებულების გამომუშავება და სტერეოტიპული აზროვნებისაგან განთავისუფლება. • ზოგადი ინტერესისა და ცნობისწადილის გამოვლენა სხვადასხვა ენებისადმი (სამეზობლო, რეგიონალური, უმცირესობათა ან უძველესი, ნიშნების ენისადმი და ა.შ.) და კულტურათაშორის კომუნიკაციისადმი.

[27] იგულისხმება ევროპული ენების მრავალფეროვნება, რომლებიც ისწავლება უცხო ენის სახით და ის უამრავი კონტექსტი, რომელშიც ისინი შეიძლება გამოიყენებოდეს. ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულების სვეტები გვიჩვენებენ მხოლოდ უცხო ენის საკომუნიკაციო კომპეტენციის ძირითად ელემენტებს. რაც შეეხება ენაში დაოსტატებას, შესაბამისი დონეები წარმოდგენილია ზოგად ევროპულ ჩარჩო-რეკომენდაციებში ენებისათვის (CEF).

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
3.1. მათემატიკური წიგნიერება	ყველაზე საბაზისო (basic) დონეზე, მათემატიკური წიგნიერება[28] გულისხმობს მიმატება-გამოკლების, გამრავლება-გაყოფის და პროცენტების გამოანგარიშების და შეფარდების უნარს, ინდივიდის მიერ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, გონებაში ან ფურცელზე წარმოებული ანგარიშისას.	• საღი ცოდნა და გაგება რიცხვების და საზომი ერთეულებისა და აგრეთვე მათი გამოყენების უნარი ყოველდღიურად მრავალმხრივ სიტუაციებში. ეს უნარ-ჩვევა გრაფების, ფორმულების და სტატისტიკური მონაცემების გაგებასთან ერთად, წარმოადგენს საბაზისო (basic) საანგარიშო მეთოდებს.	მათემატიკური წიგნიერების საბაზისო (basic) ისეთი ელემენტების გამოყენების უნარი, როგორიცაა: • მიმატება-გამოკლება; • გამრავლება-გაყოფა; • პროცენტები-შეფარდება; • წონა და ზომა ყოველდღიური ყოფითი პრობლემების გადასაჭრელად, მაგ.: • სახლის ბიუჯეტის მართვა (შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, წინასწარ დაგეგმვა, დანაზოგის გაკეთება); • საყიდლებზე სიარული (ფასების შედარება, წონის და ზომის გაგება, ფულის ფასი); • მოგზაურობა და თავისუფალი დროის გატარება (სამოგზაუროდ მანძილისა და დროის განსაზღვრა; ვალუტისა და ფასების შედარება).	• მზადყოფნა ‘ციფრების შიშის’ დასაძლევად. • მზადყოფნა ყოველდღიური სამსახურებრივი თუ ოჯახური პრობლემების მოგვარების მიზნით, არითმეტიკული ანგარიშის გამოყენებისა.

[28] საბაზისო მათემატიკური წიგნიერება (‘არითმეტიკა’) არის საფუძველი საკვანძო კომპეტენციების სხვა დომენებში შემდგომი განათლებისათვის.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
3. 1. მათემატიკური კომპეტენცია (გაგრძელება)	მათემატიკური კომპეტენცია[29], კიდევ უფრო შორს მიდის თავის განვითარებაში და ის კონტექსტის შესაბამისად მოიცავს მათემატიკური აზროვნების მოდელის გამოყენების უნარსა და მზადყოფნას (ლოგიკური და მასშტაბური აზროვნება) და აგრეთვე მის პრეზენტაციას (ფორმულების, გრაფების/ცხრილების, კონსტრუქციების სახით), რაც უნივერსალური საშუალებაა რეალობის ახსნისა და აღწერისათვის.	• საღი ცოდნა მათემატიკური ტერმინებისა და კონცეფციებისა, აგრეთვე გეომეტრიისა და ალგებრის ყველაზე მნიშვნელოვანი თეორემებისა. • ყველა იმ სახის საკითხების ცოდნა და გაგება, რომელზეც მათემატიკა გვთავაზობს პასუხებს.	• უნარი მიჰყვე წამოყენებული არგუმენტების ლოგიკურ ჯაჭვს, შეაფასო და გამოიტანო დედააზრი მოცემული სიტუაციიდან (განსაკუთრებით მტკიცებულება) და ა.შ. • მათემატიკური სიმბოლოების და ფორმულების გამოყენების უნარი, ასევე დეკოდირებისა და მათემატიკური ენის ინტერპრეტირების უნარი და მათი კავშირის გააზრება ბუნებრივ ენასთან. კომუნიკაცია მათემატიკაში, მისი საშუალებით, ან მის შესახებ. • მათემატიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი მათემატიკური მოდელის აზროვნების ფლობა, საკითხის შესაბამისად აბსტრაქცირების, განზოგადების და მათემატიკურად მოდელირების უნარი (ანუ ანალიზირება და შესატყვისი მოდელების შექმნა), არსებული მოდელების საკითხთან მორგებითა და გამოყენებით. • სხვადასხვა სახის მათემატიკური საგნების, ფენომენების და სიტუაციების, არჩევანისამებრ, გაგებისა და გამოყენების უნარი (დეკოდირება, ინტერპრეტაცია და ერთმანეთისაგან გარჩევა) • მიდრეკილება კრიტიკული აზროვნებისაკენ; სხვადასხვა მათემატიკური დებულებების გარჩევის უნარი (მაგ.: განსხვავება მტკიცებასა და ვარაუდს შორის და ა.შ.); მათემატიკური მტკიცებების და მათი, მოცემულ კონცეფციასთან მიმართებაში, მასშტაბებისა და შეზღუდვების გაგება. • დამხმარე საშუალებებისა და იარაღების გამოყენება (IT-ის ჩათვლით).	• ჭეშმარიტების, როგორც მათემატიკური აზროვნების საფუძვლის პატივისცემა. • მზადყოფნა, საკუთარი მტკიცებების მხარდასაჭერი არგუმენტების მოსაძიებლად. • მზადყოფნა, მიიღო ან უარყო სხვათა აზრები. • მყარი (ან ყავლგასული) არგუმანტებისა და მტკიცებების საფუძველზე.

[29] მათემატიკა, მიუხედავად იმისა, რომ გადაჯაჭვულია არითმეტიკასთან, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ბევრად უფრო რთული მეცნიერებაა. 'მათემატიკური ქცევა' ეს არის რეალობის აღწერა უნივერსალური კონსტრუქციებისა და პროცესების პრიზმაში. ყველაზე უკეთ მისი აღწერა შეგვიძლია უნარ-ჩვევებისა და პირადი დამოკიდებულების კომბინაციით. განმარტება ხაზს უსვამს 'მათემატიკური მოქმედებების' მნიშვნელობას და მიგვანიშნებს მის 'კავშირებზე რეალობასთან', როგორც თანამედროვე ტენდენციას მათემატიკურ განათლებაში.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
3.2. კომპეტენცია მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში	მეცნიერული კომპეტენცია არის უნარი და მზადყოფნა ინდივიდისა, გამოიყენოს მეცნიერების სფეროში დაგროვილი ძირითადი ცოდნა და მეთოდოლოგია ბუნებრივი სამყაროს ასახსნელად. ტექნიკური კომპეტენცია კი განიხილება, როგორც იმ ცოდნის გამოყენება, რომელიც სახეს უცვლის ბუნებრივ გარემოს, ადამიანის მოთხოვნებისა და სურვილების შესაბამისად.	• ბუნებრივი სამყაროს, ტექნოლოგიის და ტექნოლოგიური პროდუქტებისა და პროცესების საბაზისო პრინციპების ცოდნა. • ტექნოლოგიასა და სხვა დარგებს შორის არსებული კავშირების გაგება: მეცნიერული პროგრესი (მაგ.: მედიცინაში), საზოგადოებაში (ფასეულობები, მორალური საკითხები), კულტურა (მაგ.: მულტიმედია) ან გარემოს დაცვა (დაბინძურება, მდგრადი განვითარება).	• ტექნოლოგიური იარაღებისა და მანქანების, ისევე როგორც მეცნიერული მონაცემებისა და მიმდინარე ცვლილებებზე ინფორმაციის გამოყენება და მანიპულირება მიზნის მისაღ-წევად ან დასკვნების გასაკეთებლად. • სამეცნიერო კვლევის არსებითი თვისებების ამოცნობის უნარი. • დასკვნების გაკეთების უნარი და გონიერება, რომელსაც ამ დასკვნებამდე მივყევართ.	• ცნობისმოყვარეობა და კრიტიკული დაფასება მეცნიერების და ტექნოლოგიის, უსაფრთხოების და თავდაცვის, ასევე ეთნიკური საკითხების ჩათვლით. • დადებითი, თუმცა კი კრიტიკული მიდგომა რეალური ინფორმაციის გამოყენებისას და იმის გაცნობიერება, რომ დასკვნების გასაკეთებლად ლოგიკური აზროვნების პროცესია საჭირო. • მეცნიერული ცოდნის შეძენის სურვილი და ინტერესის გამოჩენა მეცნიერებისადმი, სამეცნიერო და ტექნიკური კარიერებისადმი.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განსაზღვრება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
4. ციფრული კომპეტენცია	ციფრული კომპეტენცია გულისხმობს ტექნოლოგიური საზოგადოების (IST)[30] ინფორმაციის, პასუხისმგებლობითა და კრიტიკულად გამოყენებას სამუშაოსთვის, კომუნიკაციისა და გართობისთვის. ეს კომპეტენცია ახლოს დგას ლოგიკურ და კრიტიკულ აზროვნებასთან, მაღალ საფეხურზე ინფორმაციის მენეჯმენტის უნარ-ჩვევასთან და კარგად განვითარებული კომუნიკაციის უნართან. ყველაზე საბაზისო საფეხურზე, ICT- ის უნარ-ჩვევები გულისხმობს, მულტიმედია ტექნოლოგიის გამოყენებას მიღებას, შეფასებას, შენახვას, წარმოებას, წარმოდგენას ინფორმაციის გაცვლის მიზნით, ისევე როგორც ინტერნეტში ჩართვისა და კომუნიკაციისათვის.	IST-ის ბუნების, როლისა და შესაძლებლობების ჯანსაღი გაგება ყოველდღიურ კონტექსტში მოიცავს[31]: • მთავარი კომპიუტერული მანიპულაციების ცოდნას: სიტყვის დამუშავების, მონაცემთა ბაზის და ინფორმაციის შენახვისა და მენეჯმენტისა; • ინტერნეტით და ელექტრონული მედიით კომუნიკაციის (ელ-ფოსტით, ვიდეო-კონფერენციით და ა.შ.) შესაძლებლობების გაცნობიერება; რეალური და ვირტუალური სამყაროების გარჩევა. • IST-ის პოტენციალის გააზრებას, მისი როლის განსაზღვრას შემოქმედებით და ინოვაციურ მიღწევებში, ისევე როგორც სოციალურ ინტეგრაციასა და დასაქმებაში. • ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანდოობის და ვარგისიანობის (მიღება-გაზიარების უნარი) გაცნობიერებას და IST-ის ინტერაქტიული გამოყენებისას ეთიკური ნორმების პატივისცემას.	იქიდან გამომდინარე, რომ IST-ის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება უფრო და უფრო მატულობს, სწავლასა თუ გართობაში, ამისათვის საჭირო უნარ-ჩვევებია: • ელექტრონული ინფორმაციის, მონაცემებისა და კონცეფციების მოძიების, მოპოვების და გადამუშავების უნარი (შექმნა, ორგანიზება, მნიშვნელოვანის უმნიშვნელოსაგან, სუბიექტურის ობიექტურისაგან და რეალურის ვირტუალურისაგან გარჩევა) და მათი მეთოდური გამოყენება; • შესაბამისი დამხმარე საშუალებების გამოყენების უნარი (პრეზენტაციები, გრაფები, ცხრილები, რუქები), რთული ინფორმაციის წარმოების, წარმოდგენის ან გაგებისათვის; • ვებგვერდის მოძიებისა და ინტერნეტზე დაფუძნებული სერვისების, ელ-ფოსტის და სადისკუსიო გაერთიანებების გამოყენების უნარი; • IST-ის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების უნარი კრიტიკული აზროვნების, შემოქმედების და ინოვაციბისათვის, სახლში, სამსახურში, თუ თავისუფალი დროის გასატარებლად.	• მიდრეკილება IST-ის დამოუკიდებლად და ჯგუფში გამოყენებისა; კრიტიკული და გააზრებული მოქმედება, ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოპოვებისას. • პოზიტიური, ფრთხილი და <u>პასუხისმგებლობით აღსავსე</u> დამოკიდებულება ინტერნეტთან, კერძო ინფორმაციისა და კულტურული მრავალფეროვნების ჩათვლით. IST-ის გამოყენება <u>ჰორიზონტის გასაფართოვებლად</u>, საზოგადოებებსა და ქსელებში კულტურული, სოციალური, თუ პროფესიული მიზნებით ჩართვით.

[30] საზოგადოებრივი ტექნოლოგიების ინფორმაცია (Information Society Technologies): გვთავაზობს სერვისს დაფუძნებულს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიაზე (Information and Communication Technologies), ინტერნეტზე, ციფრულ შინაარსზე, ელექტრონულ მედიაზე და ა.შ., მაგ.: პერსონალური კომპიუტერით, მობილური ტელეფონით, ელექტრო საბანკო აპარატით, ციფრული ტელევიზორით ა.შ.

[31] განვითარებული ICT უნარ-ჩვევები უფრო კარგად შეიძლება განიმარტოს, როგორც მედია კომპეტენციები, რაც მოიცავს მედიის ტექნიკური და კულტურული ასპექტების გაცნობიერებას და გაგებას და ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
5. დამოუკიდებლად სწავლის უნარი	დამოუკიდებლად სწავლის უნარი მოიცავს საკუთარი სწავლის ორგანიზებისა და რეგულირების მიდრეკილებასა და უნარს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფში. ის გულისხმობს ინდივიდის მიერ საკუთარი დროის ეფექტურად განაწილების უნარს, რათა გადაჭრას პრობლემები, მოიპოვოს, გადაამუშაოს, შეაფასოს და შეითვისოს ახალი ცოდნა და გამოიყენოს ეს ახალი ცოდნა და უნარი სხვადასხვა კონტექსტში –სახლში, სამსახურში, განათლებასა და წვრთნაში. ზოგადად რომ ვთქვათ, ეს არის საკუთარი კარიერის განსაზღვრის უნარი.	• საკუთარი უნარებისა და კვალიფიკაციის სუსტი და ძლიერი მხარეებისა და სასურველი სწავლის მეთოდების ცოდნა და გააზრება. • სწავლასა და წვრთნაში ხელმისაწვდომი შესაძლებლობების ცოდნა და იმის გააზრება, თუ კარიერაში რა მიმართულებით წაგვიყვანს სწავლისა და წვრთნის კურსის გავლისას მიღებული გადაწყვეტილებები.	• ზოგადად სწავლისა და კარიერის[32] ეფექტური თვითმენეჯმენტი: სწავლისათვის დროის მიძღვნის, ავტონომიის, დისციპლინის, მიზანსწრაფულობის და ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი სწავლის პროცესში. • კონცენტრირების უნარი, როგორც მოკლე დროის მონაკვეთში, ასევე უფრო ხანგრძლივადაც. • სწავლის მიზნისა და დანიშნულებისადმი კრიტიკულად მიდგომის უნარი. • უნარი კომუნიკაციისა, როგორც სწავლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილისა, შესაბამისი საშუალებების გამოყენებით (ინტონაცია, ჟესტიკულაცია, მიმიკა და ა.შ.) ზეპირი კომუნიკაციის მხარდასაჭერად და აგრეთვე უნარი სხვადასხვა მულტიმედია მესიჯების წარმოებისა (ზეპირი თუ წერითი ფორმით, ბგერა, მუსიკა და ა.შ.)	• <u>საკუთარი პიროვნული განვითარების კონცეფცია</u>, რომელიც მხარს უჭერს მზადყოფნას კომპეტენციების ცვლილებისა და განვითარებისაკენ და ასევე <u>თვითმოტივაცია</u> და საკუთარი შესაძლებლობებით წარმატების მიღწევის რწმენა. • პოზიტიური დაფასება სწავლისა, რომელიც ამდიდრებს ცხოვრებას და ინიციატივის გამოჩენა სწავლის დასაწყებად. • ადაპტაციის უნარი და მოქნილობა.

[32] საბჭოს რეზოლუცია 9286/04, რომელიც გამოიცა 2004 წლის 18 მაისს და ეხება გაძლიერების პოლიტიკას, სისტემებს და პრაქტიკას ხელმძღვანელობის სფეროში და ემსახურება სასწავლო ტექნიკისა და ავტონომიური განათლების პროპაგანდას, რათა საშუალება მისცენ ახალგაზრდებსა და ზრდასრულებს ეფექტურად მართონ საკუთარი სწავლა და კარიერა.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
6.1. პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი და სოციალური კომპეტენციები	პიროვნებათშორისი კომპეტენცია მოიცავს ყველა იმ ქცევის ფორმას, რომელიც უნდა ჰქონდეს პიროვნებას, რათა შეძლოს სხვა პირებთან (ან ჯგუფებთან) ურთიერთობაში, პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ კონტექსტში, ეფექტიანი და კონსტრუქციული მოქმედება და სოციალურ ცხოვრებაში კონფლიქტების გადაჭრა	• სხვადასხვა საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების გაგება. • ინდივიდუალური, ჯგუფური, საზოგადოებრივი და კულტურული კონცეფციებისა და მათი ისტორიული ევოლუციის გააზრება. • იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა იზრუნოს ადამიანმა საკუთარ და ოჯახის ჯანმრთელობაზე, ჰიგიენასა და კვებაზე. • ევროპული და სხვა საზოგადოებების კულტურათაშორისი განზომილების ცოდნა.	• სხვადასხვა სოციალურ სიტუაციებში კონსტრუქციული კომუნიკაციის უნარი (სხვათა შეხედულებებისა და ქცევისადმი ტოლერანტულობის გამოჩენა; პირადი და კოლექტიური პასუხისმგებლობის გაცნობიერება). • სხვა ინდივიდებში ნდობის და სიმპატიის აღძვრის უნარი. • იმედგაცრუების კონსტრუქციულად გამოხატვის უნარი (აგრესიისა და ძალადობის, აგრეთვე თვითამანადგურებელი ქცევის კონტროლი). • პირადი და პროფესიული ცხოვრების ერთმანეთისაგან განცალკევების უნარი და პროფესიული კონფლიქტის პირად კონფლიქტად გადაქცევის თავიდან აცილება. • ნაციონალური და კულტურული იდენტურობის გაცნობიერება ევროპის და მსოფლიო კულტურულ იდენტურობასთან ურთიერთქმედებისას; განსხვავებული შეხედულებების დანახვისა და გაგების და საკუთარი შეხედულების კონსტრუქციულად გამოთქმის უნარი. • კამათის უნარი.	• სხვებისადმი ინტერესის და პატივისცემის გამოხატვა. • მზადყოფნა სტერეოტიპების და ცრურწმენების დასაძლევად. • მზადყოფნა კომპრომისზე წასასვლელად. • ხასიათის სიმტკიცე. • თავდაჯერებულობა.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
6.2. მოქალაქეობრივი კომპეტენცია	მოქალაქეობრივ კომპეტენციას უფრო ფართო ასპარეზი აქვს, ვიდრე პიროვნებათშორის კომპეტენციას, მისი საზოგადოებრივ დონეზე არსებობის ხარისხის გამო. ისინი შეიძლება აღვწეროთ, როგორც კომპეტენციების კომპლექტი, რომელიც აუცილებელია პიროვნების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.	• ადამიანის უფლებების და მასპინძელი ქვეყნის კონსტიტუციის და მთავრობის ცოდნა. • იმ ორგანიზაციების როლისა და პასუხისმგებლობის ცოდნა, რომლებიც მონაწილეობენ პოლიტიკის შექმნის პროცესში ადგილობრივ, რეგიონალურ, ნაციონალურ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე (ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიური როლის ჩათვლით). • ადგილობრივ და ქვეყნის მთავრობაში მთავარი ფიგურების, აგრეთვე პოლიტიკური პარტიების და მათი პოლიტიკისა ცნობა. • დემოკრატიისა და მოქალაქეობრიობის კონცეფციების გაგება და მათზე საერთაშორისო დეკლარაციები (ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების წესდება და ხელშეკრულებები). • ეროვნულ, ევროპულ და მსოფლიო ისტორიაში მიმდინარე ცვლილებების, მთავარი მოვლენების, მიმართულებების და ფაქტორების საქმის კურსში ყოფნა აგრეთვე ევროპისა და მისი სამეზობლოს დღევანდელი სიტუაციის ცოდნა. • ევროპასა და მსოფლიოში ემიგრაციის, იმიგრაციის და უმცირესობათა შესახებ ინფორმაციის ქონა.	• საზოგადოებრივ / სამეზობლო საქმიანობაში, ისევე როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა ეროვნულ და ევროპულ დონეებზე; არჩევნებში ხმის მიცემა. • ინტერესის გამოჩენით, სოლიდარობის გამოხატვის უნარი და ადგილობრივი და უფრო ფართო საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის საკითხებში მონაწილეობის მიღება. • საზოგადოებრივ სფეროში სხვადასხვა ინსტიტუტებთან ეფექტური ურთიერთობის უნარი. • ევროკავშირის მიერ მონიჭებული შესაძლებლობებიდან სარგებლის მიღება. • სახელმწიფო ენის ფლობის სავალდებულო ხარისხი.	• კავშირის შეგრძნება ადგილობრივ გარემოსთან, ქვეყანასთან, ევროკავშირთან და ზოგადად ევროპასთან (მის ნაწილად) და მსოფლიოსთან. • მზადყოფნა დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისა. • მზადყოფნა მოქალაქეობრივ საქმიანობაში *ვოლუნტარისტული* ჩართვისა, სოციალური მრავალფეროვნებისა და ურთიერთგათანებრების მხარდასაჭერად. • სხვათა ფასეულობებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემა და მზადყოფნა ანტისოციალური ქმედების წინააღმდეგ გასალაშქრებლად. • ადამიანის უფლებების კონცეფციის გაზიარება და თანასწორობის, როგორც სოლიდარობის საფუძვლის მიღება. ევროპის თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებების ცნობა და ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის მიღება. • სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების ფასეულობათა სისტემის დაფასება და განსხვავებების გაგება. • მასმედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციისადმი კრიტიკული მიდგომა.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
7. მეწარმეობა	მეწარმეობა შედგება ***აქტიური და პასიური კომპონენტებისაგან:*** სიახლეების შემოტანისაკენ მიდრეკილება და ამასთანავე სხვათა ინოვაციების გაზიარების უნარიც. მეწარმეობა გულისხმობს ცვლილებების მიღებას, საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობის აღებას (როგორც დადებითის, ასევე უარყოფითის), მიზნების დასახვასა და მათ განხორციელებას და წარმატებისათვის მოტივაციის ქონას.	• ხელმისაწვდომი შესაძლებლობების ცოდნა, რათა ამოიცნოთ ის შესაძლებლობები, რომლებიც მორგებულია თქვენს პირად, პროფესიულ და/ან ბიზნეს საქმიანობას.	• დაგეგმვის, ორგანიზების, ანალიზირების, კეთების, კომუნიკაციის, ინსტრუქტაჟის გაგების, შეფასების და ჩაწერის უნარი. • პროექტის განვითარებისა და განხორციელების უნარი. • გუნდში ერთობლივი და მოქნილი მუშაობის უნარი. • საკუთარი პიროვნული ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა. • აქტიურად მოქმედებისა და ცვლილებების პოზიტიურად მიღების უნარი. • შეფასებისა და რისკის გაწევის უნარი, რადგან და როცა მიზანშეწონილია.	• ინიციატივის გამოჩენისადმი მიდრეკილება • ცვლილებებისა და ინოვაციებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება. • მზადყოფნა იმ სფეროების ამოსაცნობად, სადაც პიროვნება შეძლებდა საკუთარი სამეწარმეო უნერ-ჩვევების სრულად დემონსტრირებას – მაგ.: სახლში, სამსახურში და საზოგადოებაში.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
8. კულტურული გამოხატველობა	• იდეების, გამოცდილებების და ემოციების შემოქმედებითად გამოხატვის მნიშვნელობის დაფასება მედიის ფართე დიაპაზონში, მუსიკალური, სხეულის ენის, ლიტერატურისა და პლასტიკური ხელოვნების[33] სფეროში.	• ძირითადი კულტურული ნამუშევრების საბაზისო ცოდნა, პოპულარული კულტურის, როგორც ადამიანურ ისტორიაში მნიშვნელოვანი მონაპოვრის ჩათვლით. • ეროვნული და ევროპული კულტურული მემკვიდრეობისა და მისი მსოფლიო მნიშვნელობის გაცნობიერება; • ევროპის კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების ცოდნა; პოპულარული გემოვნების განვითარების და ყოველდღიურ ცხოვრებაში ესთეტური ფაქტორების მნიშვნელობის გაცნობიერება.	• მრავალფეროვანი მედია-საშუალებებით მხატვრული თვითგამოხატვის უნარი, ინდივიდის თანდაყოლილი ნიჭიდან გამომდინარე; • კულტურის მრავალფეროვან სპექტრში შექმნილი ხელოვნების ნიმუშებითა და წარმოდგენებით ტკბობისა და დაფასების უნარი; • საკუთარი შემოქმედებითი და გამომხატველობითი შეხედულებების სხვათა ხედვასთან დაკავშირების უნარი; • კულტურულ საქმიანობაში ეკონომიკური შესაძლებლობების ამოცნობა და გაანალიზება.	• გახსნილობა კულტურული გამომხატველობის მრავალფეროვნებისადმი • მზადყოფნა ესთეტური შესაძლებლობების მხატვრული თვითგამოხატვის მეშვეობით დამუშავებისათვის და უწყვეტი ინტერესის გამოჩენა კულტურული ცხოვრებისადმი; ინდივიდუალურობის ძლიერი შეგრძნება, შერწყმული მრავალფეროვნების პატივისცემასთან.

შენიშვნები:

ევროპის საბჭო, ლისაბონი, 23 და 24 მარტი 2000 წ. დასკვნები. http://ue.eu.int/ueDocs/cms_Data/docs/pressData/en/ec/00100-rl.en0.htm

ევროპის საბჭო, სტოკჰოლმი, 23 და 24 მარტი 2001 წ. დასკვნები. http://ue.eu.int/ueDocs/cms_Data/docs/pressData/en/ec/00100-rl.%20ann-rl.en1.html

ევროპის საბჭო, ბარსელონა, 15 და 16 მარტი, 2002 წ. დასკვნები. http://ue.eu.int/ueDocs/cms_Data/docs/pressData/en/ec/71025.pdf

დეტალური სამუშაო გეგმა განათლებისა და წვრთნის სისტემებზე ევროპაში (2002/C142/01) „განათლება და წვრთნა 2010“ სამუშაო პროგრამის განხორციელება, სამუშაო ჯგუფი საბაზისო უნარ-ჩვევებზე, მეწარმეობასა და უცხო ენებზე. ანგარიში მიმდინარე სამუშაოს შესახებ. 2003 წლის ნოემბერი. http://www.europa.eu.int/comm/education/policies/2010/doc/basic-skills_en.pdf

საკვანძო კომპეტენციები ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში: პირველი ნაბიჯი გადარჩევის, განსაზღვრისა და აღწერისაკენ. პირველი ანგარიში მიმდინარე სამუშაოს შესახებ, მომზდებული ექსპერტთა ჯგუფის კომისიის მიერ საბაზისო უნარ-ჩვევებზე, უცხო ენის სწავლებასა და მეწარმეობაზე. 2002 წლის მარტი.

საკვანძო კომპეტენციები. ზოგადი სავალდებულო განათლების განვითარების კონცეფცია. ევრიდაისი, კვლევა 5. 2000 წლის ოქტომბერი.

[33] კულტურული და მხატვრული გამოხატვის როლი არსებითია, როგორც ცოდნისა და უნარის მოპოვების საშუალება, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში და ზოგადად ცხოვრებაში სულიერად გასამდიდრებლად. საწყისი განათლება შესაბამისად უნდა იყოს იმ პოტენციალის განვითარება, რომელიც შექმნის საფუძველს შემდგომი ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური სწავლისათვის.